# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.

№ 242 (5583)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge



ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## მედიასაც მარწუხებში მოაქცევენ?!

3





## ვის მივმართოთ - სოზარს თუ ცირას?

3

აზრი

2

## აფხაზეთსაც და ე.წ. სამხრეთ ოსეთსაც ჩვენთან ყოფნა უნდა მოვანდომოთ

კონცერტის შემდეგ

12



## აი, მახე კი კაია, მარა...

## „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას საქართველოს ხელმძღვანელობა აუარესებს“

10



## ამორძალის ნიხრი

7

## დეპრესია გაგვანადგურებს!





4

## კეთილსინდისიერი ჟურნალისტისა და მაუწყებლის ქცევის ორიენტირები...

● საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობაში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. დღესაც ცივი ომის პირობებში ვიმყოფებით. არის მესამე ფაქტორი, რაც ამ მდგომარეობას ართულებს – რუსეთი. ამ სამკუთხედში, საერთო თანაფარდობა, ჯერჯერობით, ჩვენს სასარგებლოდ არ არის



№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.

◎ კომპეტენტური აზრი

# აფხაზეთსაც და ე.წ. სამხრეთ ოსეთსაც ჩვენთან ყოფნა უნდა მოვანდომოთ

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ალზევების დროს გამწვავდა და დღეს უკიდურეს ფაზაშია. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, თუკი ეს ორივე მხარის ნება იქნება, მაგრამ არც ერთი დათმობაზე წასვლას არ აპირებს...**

– ვითარება მძიმეა და, ვშიშობ, უფრო მძიმე იქნება, – გვითხრა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა **ჯიმი ჯალიაშვილმა,** – მართალ-მტყუანი ისტორიაში არ უნდა ვეძებოთ. მთავარია, არსებული ვითარებიდან გამოსვლა, ანუ რა პოლიტიკა შეიძლება იყოს ორივე მხარისთვის მისაღები. თუ ჩამოვთვლით ბოლო პერიოდის შედეგებს, დავრწმუნდებით, რომ რუსეთთან დამოკიდებულება სწრაფი ტემპით მწვავდება და ამას საქართველოს ხელისუფლება ვერსად გაექცევა. პროდუქტებზე ფასების ზრდა, რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მძიმე ტვირთად დააწვა, მნიშვნელოვანწილად, ამ პოლიტიკის შედეგია. ამდენი ნეგატიური მოვლენის შემდეგ, არ შეიძლება თქმა, რომ ეს დროებითი მოვლენაა. ყველა ერთხმად გაიძახის აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებაზე. ასეთი შესაძლებლობა კი იქნება მაშინ, როცა აფხაზეთის მოსახლეობა შენსკენ მოილტვის, ანუ მოსწონს შენი ცხოვრების წესი, დონე, ფორმა, შინაარსი. ასეთი მიზიდულობა კი, სამწუხაროდ, საქართველოს არა აქვს. ამიტომ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების შანსი ჰაერში გამოეკიდა. მით უმეტეს, რაც აფხაზებმა კოდორიდან სამხედრო შენაერთების გაყვანის მოთხოვნა წამოგვიყენეს და ხმამაღლა აცხადებენ, საქართველომ ძალა არ გამოიყენოს აფხაზეთის წინააღმდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრობლემა კიდევ კარგა ხანს ვერ გადაიჭრება. თუმცა, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და, თუ პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრა არ ხერხდება, შეუძლია შეიარაღებული ძალები გამოიყენოს.



ძალოვანი სტრუქტურების შეყვანა კი ომის დაწყებას ნიშნავს. აფხაზეთი დე ფაქტო, მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

პრობლემა დაძლევადია, როგორც კი სტრატეგიული წინააღმდეგობა დაიწყება. აფხაზეთისა და საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაცია სხვადასხვაა, ანუ ჩვენ ვამბობთ, მოდით ჩვენთან და ერთად შევიდეთ ნატოში. აფხაზეთი კი გვპასუხობს: ჩვენ აქ დავრჩებით, ჩვენი ორიენტაცია რუსეთია. ეს ისეთი ფაქტორია, რაც ადამიანთა კულტურულ ცხოვრებას, ეკონომიკურ პერსპექტივას, პოლიტიკურ ცნობიერებასა და, საერთოდ, მისი „მე"-ს განსაზღვრის საშუალებას უკავშირდება. საქართველო კი ამას ვერა ქმნის, ამდენად, ეს სტრატეგიული წინააღმდეგობა ძალაში რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვიჭირს, ეს პრობლემა მოგვარდება, თუ მიმზიდველი ვიქნებით აფხაზეთისთვის.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველო კარგად, აქტიურად მოქმედებდა, ვიდრე ერგნეთის ბაზრობას დავკეტავდით. სწორედ იქ იყო შემდგარი ადამიანთა ურთიერთობები. არაფორმალურად, მაგრამ კონტაქტი არსებობდა. ერგნეთის დაკეტვის შემდეგ, იქაური მოსახლეობა სასიცოცხლო სივრცისთვის, რა თქმა უნდა, რუსეთს მიაშურებდა. არადა, ოსი მოსახლეობის უმრავლესობას მართლა სურდა საქართველოსთან ურთიერთობა.

საქართველომ ყველა უნდა დაარწმუნოს, რომ წარმატებული ქვეყანაა და მაშინ აფხაზეთიცა და შიდა ქართლიც მშვიდობიანად დაგვიბრუნდება.





საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობაში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. დღესაც ცივი ომის პირობებში ვიმყოფებით. არის მესამე ფაქტორი, რაც ამ მდგომარეობას ართულებს – რუსეთი. ამ სამკუთხედში, საერთო თანაფარდობა, ჯერჯერობით, ჩვენს სასარგებლოდ არ არის.

ამჟამინდელი ვითარება აფხაზეთთან მიმართებაში ჩვენი გააქტიურების საშუალებას არ იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მხარდაჭერა გვაქვს.

დსთ-დან გამოსვლა-არ გამოსვლია კი... აბსტრაქტულად თუ ვიმსჯელებთ, სჯობს დამოუკიდებლობა გვქონდეს. ისეთი პატარა სახელმწიფო, როგორიც საქართველოა, არანაირ როლს არ ასრულებს მსოფლიო პროცესებში, ანუ ჩვენ პოლიტიკურ დაფაზე პაიკი ვართ, რომელიც ყოველთვის იძულებულია მეტ-ნაკლებად დათმოს თავისი სუვერენიტეტი. რამდენად სწორი და მყარია ამგვარი პოლიტიკა, ეს სხვა საკითხია. დღედამიწაზე, ფაქტობრივად, აღარ დარჩა აბსოლუტურად დამოუკიდებელი ქვეყანა. ჩვენ კი გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების ცენტრში ვიმყოფებით, არა მგონია, აქ ჩვენი ზედმეტი აქტიურობა მომგებიანი იყოს.

ნატოს შემოსვლით ამ ეტაპზე არაფერი წყდება. ერთადერთი ისაა, რომ საქართველო ანგარიშგასაწევი გახდება.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები , ძალაუნებურად, საქართველოს პოლიტიკის განმსაზღვრელია. მით უმეტეს, მაშინ, როცა საკითხი უმთავრესს ეხება – როგორია საქართველოს ორიენტაცია?

ძალიან ხანმოკლეა გეოპოლიტიკური ეპოქები. არ მესმის, ასეთი მარტივი პოლიტიკისა, „წავედით დღეს დასავლეთში, ამერიკელებთან, რადგან ის ძლიერი ქვეყანაა". ხვალ სხვა იქნება ძლიერი. ეს „წავედით" ჩვენი კულტურის ძიძგვნას, ეკონომიკის, ცნობიერებისა და ფსიქიკის კიდევ ერთხელ გადახვნას ნიშნავს. ისე ნუ ვიზამთ, რომ ეროვნული რაობა დავკარგოთ.

თანამედროვე პირობებში, ცოტა უფრო მეტი გონიერება გვმართებს.

**ჩაიწერა**
**ოლღა ცისკარიშვილმა**

◎ ინფორმაცია

## მოგვეცით, გაზი, მოგვეცით!

**სამი ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრები, რომლებიც გუშინ დილიდან სასტუმრო „თბილისი მარიოტში" მოლაპარაკებებს მართავდნენ, კონსულტაციებს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან გააგრძელებენ.**

**თბილისში აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ნატიკ ალიევი და თურქეთის ენერგეტიკის მინისტრი ხილმი გულერი იმყოფებიან. სამმხრივი შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ჩატარდა.**

**„შაჰ-დენიზის" პროექტიდან გაზის განაწილებაზე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკებები ბოლოს 30 ნოემბერს გაიმართა. თუმცა, საკითხის საბოლოოდ გადაჭრის მიზნით, მოლაპარაკებები სამ ქვეყანას შორისაც უნდა ჩატარდეს.**

**ბაქოში გამართული მოლაპარაკებებისას მიღწეული შეთანხმებით, 2007 წელს საქართველო „შაჰ-დენიზის" პროექტიდან 1,5 მილიარდ კუბ/მ აირს შეიძენს.**

**ინტერპრესნიუსი**

## გვითხარით ფასიც!

**„გაზპრომის" ოფიციალური წარმომადგენლის სერგეი კუპრიანოვის განცხადებით, კომპანია თავის მომხმარებლებს გაზს ევროპული ბაზრის შესაბამისი ფასებით მიაწვდის. მისივე განმარტებით, დსთ-ს ქვეყნებიდან ყველაზე იაფად გაზს სომხეთი მიიღებს, რომელიც 2008 წლის ჩათვლით 1000 კუბ/მ აირში 110 დოლარს გადაიხდის.**

**– უკრაინისათვის ტარიფი იგივე რჩება და ქვეყანა 2007 წლისათვისაც 130 დოლარს გადაიხდის. „საქართველოსთან, ბელორუსიასთან და მოლდოვასთან მიმართებაში ტარიფი დაუდგენელია, რადგან ამ ქვეყნებთან მოლაპარაკებები არ არსებობს, თუმცა ცნობილია, რომ ის გაიზ-**





**რდება. მინსკს შეუძლია რომ საწვავი „გაზპრომისაგან" 200 დოლარად შეიძინოს, ხოლო საქართველოსთან მიმართებაში ეს ფასი 200 დოლარზე მეტი იქნება, – განაცხადა სერგეი კუპრიანოვმა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი „ელმავალმშენს" ეწვია



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ რუსული კომპანიის საკუთრებაში მყოფ სს „ელმავალმშენს" ეწვია.**

ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებით, „ელმავალმშენი" ერთ-ერთია იმ საწარმოთა შორის, სადაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამა წარმატებით ხორციელდება.

„ელმავალმშენის" აქციათა 87 პროცენტი კომპანია „დემა კომპიუტერს ლიმიტედის" მფლობელობაშია.

უკვე 2 თვეა საწარმოში გადამზადების კურსებს 62 ადამიანი გადის. ისინი დასაქმებულები არიან ზეინკლებად, შემდულებლებად, მეთუნუქეებად და ხარატებად. პროგრამა 2 იანვარს დასრულდება, თუმცა, საწარმოს გენერალური დირექტორი ზურაბ ცინცაძე ქვეყნის პრეზიდენტს დაპირდა, რომ მათი უმეტესობა საწარმოში სამუშაოზე დარჩება.

საწარმოს კადრების განყოფილების ინფორმაციით, დასაქმების პროგრამით აყვანილი მუშახელი გამომუშავების პრინციპით მიიღებს ხელფასს და ის საშუალოდ 200-300 ლარამდე იქნება. გადამზადებული მუშები გამოსაცდელი ვადით – 3 თვით დასაქმდებიან და წარმატებულად მუშაობის შემთხვევაში, მათთან 1-2 წლამდე კონტრაქტები გაფორმდება.

როგორც ზურაბ ცინცაძემ განაცხადა, ქარხანა ელმავლებისთვის სათადარიგო ნაწილებს აწარმოებს, ასევე მაგისტრალური ელმავლების მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციას ახორციელებს. პროდუქცია ძირითადად დსთ-ს ქვეყნებში გადის.

**ინტერპრესნიუსი**

◎ პარლამენტი

## თავდაცვა ისევ ნთქავს თანხებს

**2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტს ოპოზიცია მხარს არ დაუჭერს. ამის შესახებ გუშინდელ სესიაზე „მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი იაშვილმა და „ფრაქცია მრეწველების" თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ განაცხადეს.**

საპარლამენტო ოპოზიცია 2006 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის ბოიკოტირების მთავარ მიზეზად ბიუჯეტის არაპროფესიონალურად დაგეგმვას და პარამეტრების ხშირ ცვლას ასახელებს.

ოპოზიცია მოითხოვს, მთავრობამ წარმოადგინოს ზუსტი არგუმენტები, თუ რატომ მცირდება 2006 წლის ბიუჯეტის ბოლო პარამეტრების მიხედვით ენერგეტიკის, ჯანდაცვის, ეკონომიკის სამინისტროების ბიუჯეტები და რა მოტივით ზრდის მთავრობა თავდაცვის სამინისტროს ხარჯებს.

2006 წლის ბიუჯეტის პროექტში ეკონომიკის სამინისტროს ხარჯები უმცირდება 13 მილიონი ლარით, იუსტიციის სამინისტროს – 5 მილიონი ლარით, ჯანდაცვას – 23 მილიონი ლარით, ენერგეტიკის სამინისტროს კი – 34 მილიონი ლარით.

თავდაცვის სამინისტროს ხარჯები იზრდება 75 მილიონი ლარით. სწორედ ეს პარამეტრები გახდა გუშინდელ სესიაზე ოპოზიციის პროტესტის მიზეზი. ოპოზიცია ვარაუდობს, რომ თავდაცვის სამინისტრომ უკვე დახარჯა 75 მილიონი ლარი და მთავრობას 2006 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების ბოლო პროექტით ამ თანხის „გაპრავება" სურს.

ბიუჯეტის პროექტს მხარს უჭერს უმრავლესობა. მათი განცხადებით, ბიუჯეტი პროგრესულია.

**ინტერპრესნიუსი**



● მოგეხსენებათ, ბოლო ხანს დიდი ინტერესი და აჟიოტაჟი გამოიწვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის პროექტმა. მასში ბევრი რამ სრულიად აბსურდულია. მაგალითად, პროექტის მიხედვით, საჯარო შეკრებებიდან ჟურნალისტს მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს მაუწყებლობის შესაძლებლობა, თუ ყველა მონაწილეს შეუთანხმებს და მათგან ლამის წერილობით ნებართვას აიღებს.



◎ არჩევანი

# ვის მივმართოთ - სოზარს თუ ცირას?

## ადამიანთა უფლებების დაცვის ცენტრი

***გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ სახალხო დამცველის სამსახურის ალტერნატიული ორგანიზაციის წარდგენა გაიმართა. ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირ „ობიექტივთან“ ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი ჩამოყალიბდა, სადაც სამოქალაქო, სისხლის სამართლის ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებებს პროფესიონალები შეისწავლიან და განიხილავენ, შესაბამის სტრუქტურებში რეკომენდაციებსაც გაგზავნიან და გააკონტროლებენ კიდეც. პროფესიონალები-მეთქი, შემთხვევით არ მითქვამს, მათი უმრავლესობა წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში მუშაობდა. მათ მრავალი გახმაურებული საქმე განუხილავთ. მაშინდელი განუკითხაობის ჟამს ბევრი საქმე დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოუტრიალებიათ.***

ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე რევოლუციის შემდეგ, ომბუდსმენის პოსტს სოზარ სუბარი დაიკავებდა. მან, სხვათა მსგავსად, რაც წესად იქცა, საკადრო წმენდა დაიწყო და პროფესიონალები გამოუცდელი ახალგაზრდებით შეცვალა. ზოგი გამოგდებული ბედს არ შეურიგდა და თავისი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართა. ამბიციურ ახალგაზრდებთან ბრძოლას რამდენიმეს ჯანმრთელობაც კი შეეწირა. სუბარის უწყებასთან ძიდილს მხოლოდ ერთეულებმა გაუძლო. მათ შორის ცირა თელოიანიცაა. ომბუდსმენის აპარატის წინააღმდეგ პროცესი მან 2005 წლის 16 ნოემბერს თბილისის საქალაქო ადმინისტრაციულ სასამართლოში მოიგო. ახლად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციასაც, კოლეგების გადაწყვეტილებით, სწორედ ის უხელმძღვანელებს.



ცირა თელოიანი სახალხო დამცველის აპარატში რვა წელი მუშაობდა, იგი მოქალაქეთა მომართვების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი იყო. თანამდებობიდან 2004 წლის 3 ნოემბერს გაათავისუფლეს. საფუძვლად არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები და ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობა დაუსახელეს. თუმცა, სასამართლო პროცესზე სუბარის წარმომადგენლებმა ამ ბრალდების დამადასტურებელი ერთი ფაქტიც ვერ დაასახელეს.

ცხადია, ამას ვერც მოახერხებდნენ, რადგან საზოგადოებრიობის, სამართალდამცველების დიდმა ნაწილმა, ვისაც გასულ წლებში საქმე ჰქონია ომბუდსმენის აპარატთან, კარგად იციან თელოიანის პრინციპულობა მუშაობისას. მის მიერ წარმოებული საქმეები კი უდავოდ ადასტურებს პროფესიონალიზმს.

— აპარატში მოსულ ახალ გუნდს დიდი პრეტენზია ჰქონდა ამ სამსახურის მართვისა, მაგრამ, კარგად აწყობილი აპარატი დაინგრა. დღევანდელ საქართველოში ადამიანებს მორალურად, ფიზიკურად უსწორდებიან, ომბუდსმენისგან ველოდებით სამართლებრივ შეფასებას, მაგრამ ის დუმს. სამი წელი ვაკვირდებოდი ამ პროცესებს და გადავწყვიტე დამოუკიდებლად მომესინჯა ძალები. მართალია, ჩემი უფლებები ერთმა ქართველმა შელახა, მაგრამ გვერდში ათასობით თანამოქალაქე დამიდგა, — თქვა ცირა თელოიანმა.

ახლად დაარსებული ორგანიზაციის წევრები მიიჩნევენ, რომ დღეს ქვეყანაში ვითარებას „თავისუფლების ინსტიტუტი“ მართავს. მის ხელმძღვანელს — ლევან რამიშვილს ქვეყნის ჩრდილოვანი პრეზიდენტი უწოდეს.

ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა ის დრო გაიხსენა, როცა ტელევიზიის ხელმძღვანელად თავისუფლების ინსტიტუტელი თამარ კინწურაშვილი დაინიშნა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად კი ნოდარ ლადარია, გია ნოდია და სხვები. ინაშვილის თქმით, მაშინ თეზისებად ჰქონდათ ჩამოწერილი, თუ როგორ უნდა გაეხლიჩათ ეკლესია, საპატრიარქო. ის მუშაკები კი, ვის ოთახშიც ხატი ეკიდა, ვენა, გაყარეს.

„ვიყოთ ფრთხილად და ვიყოთ ფხიზლად, ჩემს ქვეყანას ვუსურვებ ნიჰილიზმში არ ჩავარდეს, ბევრი სირთულეა გადასალახი, ამას ერთად შევძლებთ“, — დასძინა ცირა თელოიანმა.

მოქალაქეებს შეუძლიათ ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრს ლეონიძის №11 ა-ში მიმართონ.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ ინფორმაცია

### აფხაზურმა მხარემ ენგურის ხიდი გადაკეტა

**გუშინ, დილის 12 საათიდან გადაკეტილია ენგურის ხიდი და შეწყვეტილია მოძრაობა გალიდან ზუგდიდის მიმართულებით.**

**აფხაზური მხარე კატეგორიულად ითხოვს, რამდენიმე დღის წინათ ქართველი ძალოვანების მიერ დაკავებული ფრიდონ ჩაკაბერიას გათავისუფლებას.**

**ცნობისთვის, ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში ქართველმა ძალოვანებმა დააკავეს გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფრიდონ ჩაკაბერია.**

**ჯი-ეიჩ-ენი**



◎ კანონმდებლები

**„რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიღებული დოკუმენტი არც ისე სერიოზულია სამართლებრივი თვალსაზრისით, რომ პარლამენტმა მის განხილვას მთელი დღე მიუძღვნას“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. მან დეპუტატებს ამ საკითხის 16 საათზე გადატანა სთხოვა, როცა მეგობარი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტი მზად იქნებოდა.**

„მინდა პრესის წარმომადგენლებს, მათდამი ჩემი პატივისცემის კიდევ ერთხელ დადასტურებით, ვთხოვო: ნუ თესავენ, უფრო სწორად, ნუ დათესავენ პანიკასა და აჟიოტაჟს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პრესის ზოგიერთმა წარმომადგენელმა არასწორად გაიგო ის ფორმულირებები, რომელიც იყო სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ განცხადებაში. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ვერანაირ ცნობაზე ლაპარაკი ვერ იქნებოდა და შესაბამისად, მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, არც არის ამ განცხადებაში ამაზე მათს პირდაპირ ცნობაზე ლაპარაკი. განცხადებას არა აქვს არავითარი სამართლებრივი ძალა, არც საერთაშორისო სამართლებრივი და, სხვათა შორის, არც რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით. არანაირი პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები საერთაშორისო არენაზე ამ განცხადებას არ მოჰყვება“, — აღნიშნა მან.

— ქალბატონო ნინო, თქვენ ბრძანეთ, რომ ემოციების გარეშე უნდა შევხვდეთ რუსეთის დუმის განცხადებას. გეთანხმებით და ყოველგვარი ემოციის გარეშე გეკითხებით, რაღა დარჩენია საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში? გაიკვირვა ზვიად ძიძიგურმა და განმარტა, რომ ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია, რათა პარლამენტმა „ამ ამორფული გაერთიანებიდან გასვლას“ დაუჭიროს მხარი.

# მედიასაც მარწუხებში მოაქცევენ?!

მოგეხსენებათ, ბოლო ხანს დიდი ინტერესი და აჟიოტაჟი გამოიწვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის პროექტმა. მასში ბევრი რამ სრულიად აბსურდულია. მაგალითად, პროექტის მიხედვით, საჯარო შეკრებებიდან ჟურნალისტს მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს მაუწყებლობის შესაძლებლობა, თუ ყველა მონაწილეს შეუთანხმებს და მათგან ლამის წერილობით ნებართვას აიღებს.

ოპოზიციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ ის და მისი ფრაქციის წევრები სამი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს დიმიტრი ქიტოშვილს, ვინც ამ პოსტზე პარლამენტმა დაამტკიცა. ამიტომ, რეგლამენტის თანახმად, იგი ვალდებულია გამოცხადდეს ფრაქციის სხდომებზე და შეკითხვებზე პასუხი გასცეს.

— არ ვიცი, რითი არის დაკავებული ბ-ნი ქიტოშვილი. როგორც ვიცი, იგი საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებს, მაგრამ არ სცალია სამსახურში მისასვლელად. არ სცალია იმისათვის, რომ დაუკავშირდეს პარლამენტის წევრებს, ფრაქციას, როდესაც ურეკავენ და სთხოვენ შეხვედრას, — აღნიშნა დავით გამყრელიძემ. მან სპიკერატს დახმარება სთხოვა, რათა „მომავალ ხუთშაბათს, ფრაქციის სხდომაზე მობრძანდნენ ქიტოშვილი და მისი კომისიის წევრები“.

თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ თავადაც გაკვირვებულია აღნიშნული პროექტის აბსურდული მოთხოვნებით.

იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი



უცნაური ვერსიით, ქიტოშვილი და მისი სამსახური ჟურნალისტებს, უბრალოდ, გაგვეხუმრნენ. ხუმრობას კი ვერავის აუკრძალავ, სახელმწიფო მოხელეებსაც კი.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კანონპროექტს, იურიდიული კომიტეტის შესაბამისი შენიშვნის გათვალისწინებით, პარლამენტმა მეორე მოსმენით უყარა კენჭი. თუმცა, ამ კანონპროექტის გამო დიდი აჟიოტაჟია. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ცვლილებები მოქალაქეების პირობებს აუარესებს.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზოგიერთმა ტელეარხმა ამ კანონში შესატანი ცვლილებები არასწორად გააშუქა.

„პირადად მე რამდენიმე ტელეარხზე სიუჟეტს რომ ვუყურე, შემეშინდა, რა საშინელებას ვიღებთ თურმე, ქვეყანას ვანგრევთ, ხალხს ლამის სახლებიდან გამოვყრით და უკანასკნელ საცხოვრებელს წავართმევთ. ეს ასე არ არის“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული კანონი 1999 წლიდან მოქმედებს.

მისი თქმით, მოქმედ კანონში „პრაქტიკულად არანაირი ცვლილება არ შედის, გარდა ორი ცვლილებისა“. პირველი ცვლილება ის არის, რომ სიტყვა საოლქო სასამართლო იცვლება რაიონული და საქალაქო სასამართლოთი, რაც სასამართლო სტრუქტურის შეცვლამ გამოიწვია. რაც შეეხება მეორე ცვლილებას, ადრე, როდესაც საქმე საკუთრების ჩამორთმევაზე მიდგებოდა, კომპენსაციას ფულით უხდიდნენ. ახლა კი, ფულად ანაზღაურებას ქონების მიღების შესაძლებლობა ემატება. „რატომ გამოიწვია ამ ცვლილებამ ასეთი არაჯანსაღი აჟიოტაჟი, ჩემთვის გაუგებარია“, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

ოპოზიციას აინტერესებს, საზოგადოებრივ აუცილებლობაში ხომ არ შედის შადრევნები და პარკები? ანუ მოსახლეს ამ მოტივით, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, ხომ არ ჩამოართმევენ საცხოვრებელ სახლს?

კანონში საერთოდ არ არის გათვალისწინებული მფლობელის ნება, მიაჩნია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრს გია თორთლაძეს. „ძალიან გთხოვთ, თავი დაანებოთ პრესის დამოძღვრას“, — მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს მან. — „ამ პარლამენტში სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი ჩინოსნები პრესის წინააღმდეგ ხშირ-ხშირად აკეთებთ შენიშვნებს. ქიტოშვილი მიიღებს ახლა იმ კანონს, სადაც პრესას ყველაფერს უზღუდავს. შეუძლებელია მუდმივად ამ დამოძღვრის მოსმენა. სახელმწიფო მოხელეები მუდმივად მოძღვრავთ პრესას“, — ვერ მოითმინა და წინა საკითხს დაუბრუნდა ბატონი გია.

— ძალიან კარგად მესმის, რომ პრესის გულის მოგება თქვენთვის მნიშვნელოვანია, მარტო ჩემი დამოძღვრა არის ხოლმე თქვენი მხრიდან მისაღები. მე არასოდეს არ ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ პრესა დავმოძღვრო. ვერც ერთი ჟურნალისტი ვერ იტყვის იმას, რომ ოდესმე პარლამენტის თავმჯდომარეს მათთვის შენიშვნა მიეცეს, ან პროტესტი გამოეხატოს იმასთან დაკავშირებით, რასაც ისინი წერენ ან აკეთებენ, მიუხედავად იმისა, ვეთანხმები თუ არა მათ შეხედულებას, — უპასუხა ოპონენტს ნინო ბურჯანაძემ.

პარლამენტმა მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით მიიღო მიმართვა, სადაც დაგმობილია რუსეთის დუმის გადაწყვეტილება. საქართველოს პარლამენტში იმედოვნებენ, რომ ამ მიმართვას მეგობარი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

**მზია გელენავა.**

● ახალი კოდექსის მიხედვით, მშობელი, რომელიც სკოლაში ბავშვს უშვებს, უნდა იყოს დაიმედებული და დაცული, რომ მისი შვილი ვინმეს კამერის ობიექტი არ გახდება

● როდესაც მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება და მის შესახებ პრეზიდენტი ეთერით გამოდის, მაყურებელს უფლება აქვს, სარეკლამო ჩაჭრის გარეშე მიიღოს ინფორმაცია



რა კანონი მოდის?

# კეთილსინდისიერი ჟურნალისტისა და მაუწყებლის ქცევის ორიენტირები...

***ქართულ მედიას არტახები მოუჭირეს: „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ პროექტი, რომელიც 19 დეკემბერს საჯარო განხილვის საგანი გახდება, ერთი წაკითხვით, მეტად დახვეწილია და მთლიანად აუდიტორიის ინტერესებზეა გათვლილი. არც ტყუილად: „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი ლევან რამიშვილი აცხადებს, რომ კოდექსის შემოქმედებს ველოსიპედი არ გამოუგონიათ და ყველაფერი, რაც მასში წერია, სამოცდაათამდე ქვეყნის ანალოგიური დოკუმენტის შესწავლის შედეგია. თუმცა, ქართული კოდექსის საფუძველი, ძირითადად, მაინც ბრიტანული მაუწყებლობისა და კომუნიკაციის მარეგულირებელი ორგანოს გამოცდილება გახდა. დოკუმენტში ჩადებულ „ნაღმებს“ მეოთხე ხელისუფლება, სავარაუდოდ, მალე წამოეგება. მით უფრო, რომ მთავრობა, როგორც ჩანს, ამ საქმეს ხელს მაგრად მოჰკიდებს. ლევან რამიშვილი კი ირწმუნება, რომ კოდექსს არა იმპერატიული, არამედ სარეკომენდაციო ხასიათი ექნება.***

— ამ კოდექსთან დაკავშირებით სწორი წარმოდგენა რომ შეიქმნას, ყველამ უნდა გაითვალისწინოს — ეს სიზუსტეზე ისეთივე პრეტენზიის მქონე დოკუმენტი არ არის, როგორც, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსი. კოდექსი, სადაც ზუსტად არის გაწერილი, რა არის ყაჩაღობა და ქურდობა და რომ ბოროტმოქმედები დაუსჯელები არ უნდა დარჩნენ. „მაუწყებელთა ქცევის კოდექ-



სში“ განსაზღვრულია ორიენტირები, თუ როგორ უნდა მოიქცეს კეთილსინდისიერი ჟურნალისტი და მაუწყებელი.

ბალანსი დაცული რომ იყოს, საჭიროა, ერთი მხრივ, დაკმაყოფილდეს ლეგიტიმური ინტერესი გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მეორე მხრივ კი არანაკლებ კანონიერი მოთხოვნა — კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა და უამრავი სხვა პრობლემა, რომელიც ჩვენთან კანონმდებლობის დონეზეც არ არის განსაზღვრული. არსებობს ერთადერთი ჩანაწერი კონსტიტუციაში, რომ ასეთი უფლება არსებობს, თუმცა, ძალიან ხშირად ვხვდებით სიტუაციას, როცა მცირეწლოვანის წინააღმდეგ ჩადენილ სექსუალურ ძალადობაზე მომზადებულ სიუჟეტში ნაჩვენებია თვით მსხვერპლი ან მოძალადე და ადამიანების იდენტიფიცირება ადვილად ხდება. ახალი კოდექსის მიხედვით, მშობელი, რომელიც სკოლაში ბავშვს უშვებს, უნდა იყოს დაიმედებული და დაცული, რომ მისი შვილი ვინმეს კამერის ობიექტი არ გახდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ დოკუმენტში არ არის აბსოლუტური წესები, სადაც გამონაკლისი არ უნდა იყოს დაშვებული და დოგმატური სიზრმავით უნდა შესრულდეს. იქიდან გამომდინარე, რომ დანაშაულის განდიდება და პოპულარიზაცია არ უნდა ხდებოდეს, მედიამ კრიმინალის გაშუქებასთან დაკავშირებით გარკვეული სიფრთხილე და დელიკატურობა უნდა გამოიჩინოს, განსაკუთრებით, სამაუწყებლო მედიამ, რომლის საზოგადოებაზე გავლენაც დიდია.

**— არის თუ არა გარკვეული შეზღუდვა დოკუმენტის იმ ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ პირდაპირი რეპორტაჟები შეუფერებელი ფორმატია სადავო ახალი ამბის ღია ეთერში გასაშუქებლად. ვფიქრობ, თვით ის საკითხი, რა არის სადავო, უკვე სადავოა...**

— საუბარია იმაზე, რომ რეპორტაჟების გაკეთებაზე გადაწყვეტილების მიღებისას რედაქციას და კონკრეტულ ჟურნალისტს უნდა ახსოვდეს, თუ რა ნაკლოვანება აქვს რეპორტაჟს, ფორმატიდან გამომდინარე. შესაძლებელია, საზოგადოებას ვერ მიეწოდოს ყველა განსხვავებული აზრი. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტმა უფრო მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, ვიდრე ჩვეულებრივი რეპორტაჟის მომზადების დროს. აუდიტორიას შეიძლება მიეწოდოს ის ინფორმაცია, რაც აქტუალურია, მაგრამ ბალანსის აღდგენის მიზნით შემდეგ განსხვავებული პოზიციის ჩვენებაც აუცილებელია, რათა მაყურებელმა დასკვნა თავად გააკეთოს.

**— და მაინც, რა შემთხვევაში შეიძლება პირდაპირი რეპორტაჟის აუცილებლობა ეჭვქვეშ დადგეს? მაგალითად, მოჭიდავეების ქუჩაში გამოსვლის დროს?**

— ამ შემთხვევაში სადავო არაფერი იყო. ხალხზე, რომელიც არბევდა სასამართლო შენობას და ამტვრევდა პატრულის მანქანას, განსხვავებული აზრი არ უნდა იყოს. სადავო საკითხები კი შეიძლება წარმოიშვას მაგალითად მაშინ, რამდენად გამართლებულია აბორტი ან სკოლაში როგორ ასწავლიან გარკვეულ საგანს... ბევრმა ადამიანმა ამაზე შეიძლება დემონსტრაცია მოაწყოს. როცა ასეთი მოვლენას აშუქებს, ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, რომ ეს მხოლოდ ერთი მხარის პოზიციაა და მან დამატებითი სიუჟეტი უნდა გააკეთოს, სადაც პრობლემას სრულყოფილად ასახავს. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო არეულობების, ამბოხებებისა და ტერორისტული აქტების გაშუქებისას. ამ დროს ჟურნალისტს უნდა ახსოვდეს, მსგავსი ლონისძიებები ხშირად იმიტომ ხდება, რომ მედიამ მას ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს. ჟურნალისტის დაუფიქრებელმა მოქმედებამ კი, შესაძლოა, ვითარების ესკალაცია გამოიწვიოს.

**— ციხეებში ბუნტს სერიოზულ ყურადღებას მსოფლიოში ისეთი ავტორიტეტული ტელეკომპანიაც უთმობს, როგორიც „სი-ენ-ენია“...**

— კამათი და დავა „სი-ენ-ენ“-თან დაკავშირებითაც არსებობს.

**— ახალი კოდექსით, ფართო მოცულობით არც ტრაგიკული მოვლენების გაშუქებაა მიზანშეწონილი. როგორც დოკუმენტშია მითითებული, ასეთი ფაქტების შემდეგ შესაძლოა საჭირო გახდეს რადიო და სატელევიზიო პროგრამების განრიგში ცვლილებების შეტანა ან ვებ-გვერდის შინაარსის შეცვლა და გაუქმება...**

— როდესაც ქვეყანაში გარკვეული პრობლემებია, ჟურნალისტები პასუხისმგებლობით უნდა მოიქცნენ, არ უნდა დათესონ პანიკა, ისტერია და ქაოსი. კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების დროს ჟურნალისტს უნდა ახსოვდეს, რომ ეს ყველაფერი კონკრეტულ ადამიანს უკავშირდება და ძირისუფალი საკუთარი ახლობლის დაღუპვას ტელევიზიიდან არ უნდა იგებდეს. ამის შესახებ ჯერ მას უნდა ეცნობოს. შემდეგ კი თვითონ გადაწყვეტს, გადაიცეს თუ არა მსხვერპლის სახელი და გვარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

**— ეს ორიენტირები, რომლის თაობაზეც თქვენ საუბრობთ, აგრეთვე, სხვა შეზღუდვები რაკურსის გამოყენების შესახებ, კრიმინალის გაშუქების, დაჭრილებისა თუ გვამების ჩვენებაზე, გარკვეულწილად, ასოციაციებს იწვევს საბჭოთა ცენზურასთან. ყველას ახსოვს, თუ როგორი „ვარდისფერი“ და იდილიური მდგომარეობა სუფევდა მაშინ საბჭოთა ტელევიზიის ეკრანებზე.**

— მსგავსი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ ჟურნალისტები მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან ტელევიზიაში. ამ შემთხვევაში ლაპარაკია პროფესიონალიზმზე, პროფესიონალი ჟურნალისტი მოახერხებს ეს პრობლემა თავიდან აიცილოს.

**— მე ძალიან გამამხიარულა იმ პუნქტმა, რომ სექსი და მასთან დაკავშირებული საკითხები სენსაციურობის გარეშე უნდა გაშუქდეს...**

— ასე დაწვრილებით დოკუმენტს არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, მსგავსი რამ რომ მოხდეს, საინფორმაციო გადაცემაში მთავარ ახალ ამბად არ გაუშვებენ. სენსაციურობა და სიყვითლე ქართულ მედიას არ აკლია.

**— ის საკითხი, რომ საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა არ შეიძლება შეწყდეს რეკლამით, ესეც მისაღებია?**

— ეს მანამდეც ეწერა კანონში მაუწყებლობის შესახებ.

**— არ გეჩვენებათ, რომ მას გადახედვა სჭირდება, მით უფრო, რომ ეს კერძო კომპანიებსაც ეხება?**

— ტელეკომპანია მხოლოდ კერძო საკუთრება არ არის. სიხშირე საზოგადოების საკუთრებაა და მისი ინტერესები დაცული უნდა იყოს. როდესაც მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება და მის შესახებ პრეზიდენტი ეთერით გამოდის, მაყურებელს უფლება აქვს, სარეკლამო ჩაჭრის გარეშე მიიღოს ინფორმაცია. ამას ტრანსსასაზღვრო მაუწყებლობის შესახებ ევროკომისიის კონვენციაც ითვალისწინებს.

**— რაც შეეხება რეკლამასა და სპონსორის თემას, ვფიქრობ, არც ისე მდიდარ ქართულ მედიასაშუალებებს ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნებათ, მაგალითად, ის ფაქტი, რომ საკონკურსო გადაცემებში პრიზები მაუწყებელმა უნდა შეიძინოს, ხოლო საბავშვო კონკურსებში არ უნდა დაწესდეს ფულადი პრიზი...**

— თუ არ ვცდები, ეს პუნქტი მანამდეც არსებობდა. ამ პუნქტის არსი ის არის, რომ ბავშვი ექსპლუატაციის ობიექტი არ გახდეს.

**— რაც შეეხება ჟურნალისტების მიერ საჩუქრებზე უარის თქმას, მათ შორის, უფასო მგზავრობისა და კულტურული ღონისძიებების ბილეთების ჩათვლით?**

— კორუფციის შემთხვევები ხშირია და ამ პრობლემას უნდა მივხედოთ.

**— აკრძალვა კულტურის სფეროში მომუშავე ჟურნალისტების მიერ გამომცემლებსა და პროდიუსერების ხელოვანებთან დაკავშირების შესახებ - ესეც კორუფციის კონტექსტში მოიაზრება?**

— როდესაც ჟურნალისტი საზოგადოებას ინფორმაციას აწვდის, მას არ უნდა ჰყავდეს ფავორიტები და არ უნდა ჰქონდეს მიკერძოება კონკრეტული პიროვნებისადმი.

**— ადამიანები სუბიექტურად აზროვნებენ: ზოგს სალვადორ**



**დალი მოსწონს, ზოგს რემბრანდტი..**

— სუბიექტურობა რაღაც დონეზე ბუნებრივია. ვიდრე ადამიანი არსებობს, სუბიექტურობას ვერ აღმოვფხვრით, მაგრამ არც მისი სრული უარყოფა შეიძლება.

**— რა კომენტარს გააკეთებდით იმის თაობაზე, რომ კულტურული პროგრამების რედაქციის თანამშრომლებმა, რომლებიც ხელოვნების ძვირფას ნიმუშებს აგროვებენ, მაუწყებელს შეძენილი და გაყიდული ნივთების ჩამონათვალი ყოველწლიურად უნდა წარუდგინონ...**

— აქ ინტერესთა კონფლიქტის საკითხი დგება. ჟურნალისტი შეიძლება აღმოჩნდეს კოლექციონერი და სიგიჟემდე უყვარდეს მაგალითად, გუდიაშვილი. მან გაშუქებისას შეიძლება თავი ვერ შეიკავოს მიკერძოებისგან. ამის შესახებ ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რათა გაითვალისწინოს ჟურნალისტის სისუსტეები.

**— გახდება თუ არა კოდექსი საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის სამეურვეო საბჭოს სახელმძღვანელო დოკუმენტი კონკრეტული დავების განხილვისას?**

— არსებობს ორი მოდელი: ევროპულ ქვეყნებში კოდექსის დანერგვასა და საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებლები რეგულატორები არიან. ჩვენ ვთავაზობთ თვითრეგულირების მოდელს. რეგულატორის როლი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმით, რომ დაავალდებულოს ლიცენზიის მფლობელი, შექმნას ეფექტური თვითრეგულირებისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების სისტემა. ყველა საინფორმაციო საშუალებას უნდა ჰყავდეს თავისი ომბუდსმენი ან რესურსების დაზოგვის მიზნით, რამდენიმე ორგანიზაციას ერთი ომბუდსმენი.

**— მაგრამ თვითრეგულირების მექანიზმით როგორ აიძულებთ მაუწყებელს, დარღვევებზე რეაგირება მოახდინოს, ამისთვის ხომ გარკვეული სანქციები უნდა არსებობდეს, მაგალითად, ჯარიმა?**

— ჯარიმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა არსებობდეს, როდესაც ეთერში გარკვეულ სიუჟეტს ბოროტი განზრახვით უშვებენ, მაგრამ მისი გამოსწორება შესაძლებელია ახალი სიუჟეტის მომზადებით.

**— თუ დოკუმენტს იმპერატიული ხასიათი არ აქვს, რატომ არის შეტანილი პუნქტად „იკრძალება თვითმფრინავის გატაცებისას, პირდაპირ ეთერში გამტაცებლებთან ინტერვიუს გაშვება“. განა სიტყვა „იკრძალება“ ამის მანიშნებელი არ არის?**

— ეს თარგმნის პრობლემაა. მე არ ვარ გარკვეული ამ კოდექსში, თუმცა, კანონების მსგავსად, გამონაკლისები აუცილებლად არის განსაზღვრული. შესაძლებელია გარკვეული ფაქტები ეთერში იყოს ნაჩვენები, მაგრამ ჟურნალისტებმა ხელი არ უნდა შეუწყონ კრიმინალური ფაქტების პროპაგანდას.

**ბელა ნოზაძე,**
**„ინტერპრესნიუსი“**

№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.

მართალია, საქართველო, ქართველი ერი ისტორიულად დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაა, მაგრამ დღეს, რატომღაც, სულიერად დაცემულებს ვგავართ, კულტურის საზომად ქუჩა, ქარაფშუტა ახალგაზრდობა, ხალხის ქცევა გამხდარა და თუ ვინმეს ილუზია აქვს, რომ დადგება კარგი დრო, კარგი ცხოვრება და ყველაფერი დალაგდება, ძალიან ცდება



## საით მივექანებით?

# ფსევდოთავისუფლებამ ალვირახსნილობა წარმოშვა...

**ბევრჯერ ვეცადე მთავრობის ყურადღება გამემახვილებინა იმ საჭირბოროტო საკითხზე, რასაც თბილისისა და მთელი საქართველოს კულტურული ცხოვრება ჰქვია. მსურდა რაღაც წინსვლა მომხდარიყო, მაგრამ, ეტყობა, ჩვენი ე.წ. ისტებლიშმენტი უკადრისობს საზოგადოების რიგითი წევრების შენიშვნებსა და წინადადებებს. ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა მითხრა კიდეც, ჩვენ ხალხის აზრი არ გვაინტერესებს, ხალხმა საკუთარ თავს მიხედოსო (!ძ. არადა, თუ სახელმწიფოსა და ხალხის აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა, თუ ისინი ერთიანი არ იქნებიან, არავითარი ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება არ ჩამოყალიბდება.**

ჩვენი საზოგადოება რომ მორალურ-ზნეობრივად დაცემულია, ეს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩანს. დავაკვირდეთ მათ ქცევას ქუჩებში, „მეტროს" სადგურებში, ვაგონებში, მოისმინეთ მათი ლექსიკა („ტო", „კაროჩე", „მიტყდება", „ჩემი დედა..."ძ და დარწმუნდებით რა ახალგაზრდობა გვყავს. ისე ყვირიან და წივიან ყველგან, თავი საგიჟეში გეგონება. მათი ქცევა ყოველგვარ ეთიკურ ნორმას სცილდება, ხალხის თვალწინ ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან, დარბიან ჭიპმოშიშვლებულნი, რაც ყოვლად გაუმართლებელია სამედიცინო თვალსაზრისითაც, რადგან ეს იწვევს მამაკაცთა იმპოტენციას. ბოლო 10 წლის განმავლობაში იმპოტენციამ ორჯერ მოიმატა. ასევე, კატასტროფულად გახშირდა ნარკომანიის შემთხვევები ბავშვებსა და გოგონებში. ჩვენი სტუდენტი გოგონები ტუალეტებშიც კი არ ერიდებიან თამბაქოს წევას ბიჭებთან ერთად. ისინი პოლიციელებსაც კი შეჰყავთ ტუალეტებში თამბაქოს მოსაწევად. რა ბინძური უნდა იყოს ადამიანი, რომ ტუალეტის მძიმე ჰაერთან ერთად შეისუნთქოს მომაკვდინებელი შხამი და მასში არსებული კიბოს გამომწვევი ნივთიერებები – ბენზპირენი და ბენზანტრაცენი. თამბაქო ნაადრევი სიბერისა და სიკვდილის ნარკოტიკია, თამბაქოს წევა კი დედამიწაზე ყველაზე მეტად გავრცელებული ნარკომანიაა. „თამბაქო აზიანებს სხეულს, ანადგურებს ფსიქიკას, აჩლუნგებს ერს" (ო. ბალზაკი).

ნარკომანიით გაბრუებული ხალხის მიერ ნორმალური სახელმწიფო ვერ აშენდება. დაბალია თამბაქოს მწევლების კულტურა. ისინი უბოდიშოდ მოისვრიან სიგარეტის ნამწვავებს იქ, სადაც მოესურვებათ. რუსთაველის პროსპექტიც კმარა საილუსტრაციოდ. მეტროს ყოველი შესასვლელი სავსეა პაპიროსის ნამწვავებით. ალბათ, ჩვენს მთავრობას, პარლამენტს და თვით პრეზიდენტსაც ხელს აძლევთ ხალხის ასეთი უკულტურობა და გაუნათლებლობა. მე არ ვიცი არც ერთი შემთხვევა, ვინმეს მიემართოს მოსახლეობისათვის ტელევიზიით, რომ დავიცვათ ელემენტარული ზნეობის ნორმები, არ დავყაროთ ქუჩებში, „მეტროს" მიმდებარე ტერიტორიებთან სიგარეტის ნამწვავები, ცელოფნები, პროდუქტის ნარჩენები და სხვა ნაგავი.



მთავარი ხალხთან მუშაობაა და არა ავტობუსების შემოყვანა მხოლოდ. დიდი ფსიქიატრი ავლიპი ზურაბაშვილი ხშირად გვეუბნებოდა, რომ **ხალხის ფსიქიკას მუდმივი აღზრდა ესაჭიროება დაბადებიდან მოხუცებულობამდეო.** ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს ამ ჭეშმარიტებაში. მაგრამ თუ აღზრდის მეთოდები არ გვივარგა, მაშინ კანონი უნდა მოქმედებდეს. **ფსევდოთავისუფლებამ ჩვენში წარმოშვა ალვირახსნილობა, რაც, ვშიშობ, ჩვენი ერის კატასტროფით არ დამთავრდეს!** თუ აქედანვე ქმედითი ღონისძიებები არ განვახორციელეთ, ისეთი, როგორიც ტარდებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, მართლაც არაფერი გვეშველება. იქ ერთი ღერი ასანთი რომ დააგდოს ვინმემ ქუჩაში, მას საქვეყნოდ შეარცხვენენ ან პოლიციაში წაიყვანენ. ასე უნდა მოხდეს ჩვენთანაც, მაგრამ როცა ეს დედაქალაქის მერს, ბატონ გიგი უგულავას მოვახსენე, მიპასუხა, ჩვენ არა ვართ ბალტიისპირეთიო. ე.ი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უკულტუროები და უზნეოები ვართო!

მართალია, საქართველო, ქართველი ერი ისტორიულად დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაა, მაგრამ დღეს, რატომღაც, სულიერად დაცემულებს ვგავართ, კულტურის საზომად ქუჩა, ქარაფშუტა ახალგაზრდობა, ხალხის ქცევა გამხდარა და თუ ვინმეს ილუზია აქვს, რომ დადგება კარგი დრო, კარგი ცხოვრება და ყველაფერი დალაგდება, ძალიან ცდება. თავისით არაფერი მოვა, ეს დრო ჩვენ უნდა მოვიყვანოთ და საფუძვლის ჩაყრაც დროულად უნდა დავიწყოთ. ჩემს აზრს ის ადამიანები გაიზიარებენ, რომლებსაც გული შესტკივა ჩვენს მომავალზე, მაგრამ მთავრობიდან გამოხმაურებას არც ველოდები. ერთმნიშვნელოვნად დავრწმუნდი, რომ ისინი მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნავენ, ხალხის აზრი მათ არ აინტერესებთ. თუ ვინმე დაინტერესდება ამ წერილით, მზად ვარ ვითანამშრომლო მასთან და ვიყო სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებების კონსულტანტი. თუმცაღა, ამის იმედიც ნაკლებად მაქვს... ჩინოვნიკები ხომ გაზეთებს არ კითხულობენ!..

**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოთერაპევტი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი, საარჩევნო კომისიის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან.**

***P.S. უსაქმური პოლიციელების ნაწილი, რომლებიც მეტროპოლიტენის სადგურებში არასრულწლოვან გოგონებს ელლაბუცებიან, სჯობს ზევით ამოვიყვანოთ ქუჩებში პატრულირებისთვის, მათ უნდა აღკვეთონ სიგარეტის ნამწვავებით ქუჩების დაბინძურება, დააჯარიმონ დამრღვევები. ამ საქმეში გამგეობებმა უნდა ჩართონ საზოგადოების წარმომადგენლებიც, მიანიჭონ მათ სათანადო უფლებები...***

№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.

## ბიზნესი

# ნამდვილი მყიდველი დღითი დღე კლებულობს

**ნამდვილად ვეთანხმები საქართველოს პრეზიდენტს იმაში, რომ ახლა ფრონტის ხაზი ეკონომიკაზე გადის. ამ დარგში წინსვლა კი იგრძნობა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. თუნდაც ის, რომ ქვეყანას შეეძლოს თავისი ხალხის ჩასაცმელ-დასახურავი უმეტესად თვითონ აწარმოოს და იმპორტის მაგივრად ექსპორტზე იზრუნოს. ასე იქცევიან განვითარებული ქვეყნები და ჩვენც მათ უნდა მივბაძოთ.**

ასე, მაგალითად, ეკონომიკის გაძლიერების მიზნით ავსტრალიელები მხოლოდ და მხოლოდ ავსტრალიურ ნაწარმს ყიდულობენ. ადგილობრივ ნაწარმს კენგურუს გამოსახულებიანი ნიშანი ამშვენებს, ხოლო რეკლამებში აუცილებლად აღნიშნავენ, რომ იყიდება 100-პროცენტიანი ავსტრალიური ნაწარმი. უსიამოვნებების თავიდან აცილების მიზნით ამ ქვეყანაში აკრძალულია საკვების, მცენარეების და ცხოველების შეტანა. ავსტრალიაში ადამიანებს არ უხდებათ „ბრძოლა არსებობისათვის" – თუ ითხოვთ, მოგცემენ და სახელმწიფო უმუშევრობის დროს იმდენს გადაგიხდით, მთელი სიცოცხლე შეგიძლია ამით იარსებოთ. ამიტომაც ამ ქვეყანაში დამნაშავეები და კრიმინალები თითქმის არ არიან.

ამის მიღწევამდე ჩვენს ქვეყანას შორი გზა აქვს გასავლელი. სასიამოვნო, კეთილგანწყობილ გარემოში რომ ვიცხოვროთ, ამისათვის აუცილებელია, დროზე ჩამოყალიბდეს საშუალო ფენა, რომ უმეტესობას არ უჭირდეს და ოჯახისათვის, ასევე ნათესავ-მეგობრებისთვის რაღაც მინიმალური საჩუქრის შეძენა შეეძლოს.

სწორედ ამ თემით დავინტერესდი და რამდენიმე სავაჭრო ობიექტს მივადექი. ადრე თუ ვაგზლის მოედანზე მდებარე ბაზრობებზე ხალხი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიდა, ამჟამად იგი თითქმის ცარიელია, უზარმაზარ შენობებში ისეთი ხალვათობა იგრძნობა, თითქოს პარკში დასეირნობდე. არადა, დახლებიდან ათასგვარი ბრჭყვიალა საჩუქრები შემოგვცქერის, ნაირ-ნაირი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ელოდება მყიდველს, მაგრამ სად არის იგი?

სწორედ ამიტომ გამოველაპარაკე სანდომიან ქალბატონს, გამყიდველ რუსუდან ნერგაძეს და, უბრალოდ, შევეკითხე – ვაჭრობა თუ გაქვთ-მეთქი. – რა გითხრათ, ნეტავი ამ საქმისთვის თავის დროზე ხელი არ მომეკიდა, – მითხრა მან, – ტექნოლოგად ვმუშაობდი თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში, დრო რომ წახდა, ქარხანამ მთლიანად შეწყვიტა მუშაობა და იძულებული გავხდი, დახლთან დავმდგარიყავი. **გთხოვთ, აუცილებლად დაწეროთ, რომ მოსახლეობა სულ უფრო ღარიბდება, შარშანწინდელთან და შარშანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლები ხალხი შემოდის სავაჭროდ და თანაც მხოლოდ პროდუქციის დათვალიერებით ტკბებიან, თითქმის არაფერს ყიდულობენ, თითო-ოროლა თუ არის ნაღდი მყიდველი.** ზოგიერთს უკვე სახეზე ვცნობ, რამდენიმე დღეგამოშვებით შემოდის და მესაუბრება, სახეზე ვატყობ, ვინ არის სანდო და ვინ – არა. სანდო ადამიანებს ნისიადაც ვთავაზობ და ვეუბნები, თუ გნებავთ, წაიღეთ და რამდენიმე დღეში მომიტანეთ-მეთქი ფული, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ასე მეუბნებიან, იმდენი გადასახადი მომდის, იმას ვერ ავუდივარ და ოჯახისთვის რომ რაიმე შევიძინო, ამის საშუალება არა მაქვსო.



იქვე მდგომ მამაკაცს გავესაუბრე. – ბატონო, რის ყიდვას აპირებთ? – მორიდებით ვკითხე. კაცმა გამიღიმა და ხელი პიჯაკისკენ გაიშვირა, რომელიც მართლაც ლამაზად მოჩანდა.

– თქვენ რაღაცას იწერთ, ეტყობა ჟურნალისტი ხართ. აბა რა გითხრათ – წინათ მეტს ვყიდულობდი ჩემთვის, მიყვარს კარგი ჩაცმა, მაგრამ ახლა იმაზე ვფიქრობ, ცოლ-შვილს რა ვაჭამო, ამ პიჯაკს აუცილებლად ვიყიდი, მაგრამ იმაზე ვნაღვლობ, ეს ფული ჩემს პატარებს მოაკლდება. ჩემს გვარს და სახელს გეტყვით – ნოდარ ქებურია ვარ, ინჟინერი, ვმუშაობ, მაგრამ იმდენად ცოტას მიხდიან, რომ ოჯახს არ ჰყოფნის. ბაზარს ნამდვილად ცეცხლი უკიდია, ერთი კილოგრამი კარტოფილი ლარნახევარი ღირს და სხვა დანარჩენს აღარ იკითხავთ? ხორცს და ლობიოს ვერ გაეკარები. ეს ნამდვილად კარგი ცხოვრება არ არის.

**– მაინც რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ კარგად ვიცხოვროთ?** – ისევ ჩავაცივდი უცნობს.

– ეს თქვენც იცით, მაგრამ გინდათ მე მალაპარაკოთ არა? – გამიღიმა კაცმა და დაიწყო. – აი, ამ ტანსაცმლით გადავსებულ სავაჭრო დახლებს რომ ხედავთ, ერთი იკითხეთ, ამათგან რომელიმე თუ არის საქართველოში დამზადებული? ჩვენთან მშვენიერი საწარმოები იყო, პატრონი რომ გამოსჩენოდა და აემუშავებინა, შეიძლება ისეთი დიდი მოცულობის პროდუქცია არ გამოგვეშვა, როგორც ეს კომუნისტების დროს იყო გეგმით გათვალისწინებული, მაგრამ ცოტა გამოეშვათ და კარგი, ხომ შეიძლებოდა? **ჩემი აზრით, აუცილებელია მცირე ბიზნესის აღორძინება, რომელიც ქვეყნის ხერხემალია. ვგულისხმობ სწორედ მცირე საწარმოების შექმნას, რომლებიც ხარისხიან ადგილობრივ პროდუქციას დაამზადებენ, ამით მუშახელიც დასაქმდება და ბიუჯეტშიც მეტი თანხა შევა, შემოსავლები გაიზრდება და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა ამაღლდება.**

მართლაც კარგია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახლა პრიორიტეტულად სწორედ ეკონომიკის განვითარება დაისახა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით მართლაც გადაიდგა, მაგრამ პრეზიდენტს მეტად სჭირდება მხარში ამოდგომა. ალბათ, თავის სიტყვას იტყვის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი, ასევე საჭიროა დროულად ამოძრავდნენ ის უწყებები და ორგანიზაციები, ვისაც მცირე ბიზნესის დაფინანსება და ხელშეწყობა შეუძლია.

**საწარმოს ამოქმედებისთვის გაღებული თითოეული ლარი ქვეყანას ათმაგად დაუბრუნდება. წელში გაიმართება უმეტესობა და იქნებ მალე ბედნიერი ქვეყნის სტატუსსაც გამოვკრათ ხელი.**

**ლალი ქინქლაძე**

# SOS!:

- ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეთნოენობრივი მდგომარეობა, ეთნოკულტურული ინტერესების გამოკვლევა, ხალხებს შორის კულტურული დიალოგი, „ეთნოლოგიური სამსახურის“ გამოყენების ასპექტები, კავკასიის ეთნოკულტურული სამყარო და სხვა
- მოჟაისკის მისადგომებთან გზისპირა ბექობზე დაღვრილი ჩემი სისხლი ალალი იყოს მოსკოველებზე, რუსეთზე — ეს ხალხიც მიყვარს და ქვეყანაც, მაგრამ მოსკოვში რომ არ გიშვებენ და იქიდან ზიზღით უკან გერეკებიან, ეს მტკენს გულს. მჯერა, ასე დიდხანს არ გაგრძელდება




◉ ეთნოლოგია

# დავიცვათ ქართული კულტურული მემკვიდრეობა გაყალბებისგან

**საქართველოში დღეს ისეთი ვითარებაა, რომ ყოველი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება და ცალკეულ კონკრეტულ დარგებში მომუშავე სპეციალისტები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა ცდილობდნენ, მაქსიმალური წვლილი შეიტანონ იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც ჩვენი საზოგადოების თვალწინ დაგროვდა.**

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელშიც სხვადასხვა ეთნოსი და ეთნიკური ჯგუფი ისტორიულად თანაარსებობს. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში მკვეთრად შეიცვალა ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობები. გაჩნდა უამრავი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს შეისწავლოს არსებული პრობლემები და დასახოს კონფლიქტების მოწესრიგების გზები. მრავალი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი მოღვაწეობს ამ სფეროში, მაგრამ არის მეცნიერება, რომელიც უშუალოდ არის დასაქმებული ამ საკითხებით — ეს არის ეთნოლოგია.

ეთნოლოგია სწავლობს ეროვნებათა წარმოშობას, მათ ისტორიას, კულტურისა და მეურნეობის თავისებურებებს, ყოფა-ცხოვრებას, ფსიქიკას. აკადემიკოსი ბრომლეი აღნიშნავდა, „ვინაიდან ეთნოსები წარმოადგენენ ერთმანეთისგან განსხვავებულ დინამიურ სისტემებს, ეთნოლოგია პირველ რიგში შეისწავლის ხალხებს შორის მსგავსებასა და განსხვავებას და აგრეთვე მათ დამახასიათებელი თავისებურებების ცვლილებებს დროში, ე.ი. ეთნიკურ პროცესებს“. ეთნოლოგები თავის ნაშრომებში აღნიშნავენ ერების როგორც განმასხვავებელ ნიშნებს, აგრეთვე იმასაც, რაც საერთოა მათთვის.

**სწორედ მათი შესწავლის საფუძველზე ამ განსხვავებების ცოდნა ეთნოლოგს აძლევს საშუალებას, რომ შეიმუშაოს გარკვეული პრაქტიკული რეკომენდაციები.**

ეთნოფსიქოლოგიის მონაცემების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია დღეს არსებულ კონფლიქტებში გარკვევა და მათი გადაწყვეტა, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.




უპირველეს ყოვლისა, ეთნოლოგია გვაძლევს საშუალებას, რომ კომპლექსურად მივუდგეთ ნაციონალურ პრობლემატიკას, ხალხების ყოფას, მათ სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს. ეს უაღრესად აქტუალურია დღეს, ეთნოკონფლიქტების ეპოქაში, როდესაც მთელს მსოფლიოში გავრცელდა აგრესიული სეპარატიზმის სენი, რაც შემდგომში ხშირად გადაიზრდება ტერორისტულ ქმედებებში.

გამოყენებითი საკითხების გადაწყვეტა თავისთავად ამდიდრებს როგორც თეორიულ, ისე ისტორიულ ეთნოლოგიას. თანამედროვე ეთნიკური პროცესების შესწავლა, ქალაქის ეთნოლოგიის საკითხები, ჩვენში მევენახეობისა და მეღვინეობის პრობლემა და სხვა ხელს უწყობს არა მხოლოდ ემპირიული აღწერილობითი ხასიათის სამუშაოებს, არამედ თეორიული შრომების შემდგომ სრულყოფას. არსებითი მიღწევაა მსოფლიო პრაქტიკაში ეთნოლოგთა მონაწილეობით ეთნიკური პროცესების მართვის შესაძლებლობა.

ფრიად საგულისხმოა სოციალური პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის (ოქსფორდის უნივერსიტეტი) გიორგი შაქარიშვილის მოსაზრებანი სოციალური კაპიტალის თეორიის შესახებ, რომელიც საზოგადოებრივი მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებაა, მისი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით იგივდება მატერიალურ და ჰუმანურ კაპიტალთან. თუკი მატერიალური კაპიტალი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ძალას, ხოლო ჰუმანური კაპიტალი — ერის ინტელექტუალურ და ფიზიკურ სიჯანსაღეს, სოციალური კაპიტალით განისაზღვრება საზოგადოებრივი ინსტიტუტის ისეთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი, როგორიცაა საზოგადოების წევრთა ერთმანეთთან ურთიერთობის ხარისხი. ამაში იგულისხმება როგორც ცალკეულ ინდივიდებს შორის, ასევე ინდივიდსა და საზოგადოებას შორის და, რაც მნიშვნელოვანია, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების არსებობა, როგორიცაა ნდობა, ტოლერანტობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა — ანუ ყველაფერი ის, რაც ერის ერთიანობის აუცილებელი ფაქტორია. ცხადია, რომ აღნიშნული პრობლემის დაძლევაში ეთნოლოგია და, უფრო კონკრეტულად, ეთნოფსიქოლოგია უნდა იქნას გამოყენებული.

ვინ უნდა მისცეს რეკომენდაციები ამ საკითხებზე ხელისუფლებას, თუ არა ეთნოლოგებმა? რატომღაც, კონფლიქტოლოგიასა და პოლიტოლოგიას დღეს მიეტმასნა უამრავი ადამიანი, რომლებიც საბჭოთა პერიოდში პარტისტორიის სპეციალისტები იყვნენ!

რა მდგომარეობაშია დღეს ეთნოლოგია საქართველოში? ჩვენ გვყავს, შეიძლება ითქვას, მთელი არმია მაღალკვალიფიციური მეცნიერებისა, რომლებმაც გაიარეს აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სკოლა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს საერთაშორისო მასშტაბით.

გლობალიზაციისა და ვესტერნიზაციის ეპოქაში მნიშვნელოვანია, საერთაშორისო არენაზე გავიტანოთ ქართველთა და საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის მიერ შეტანილი წვლილი მსოფლიო საგანძურში.

ჩვენმა ეთნოლოგებმა, გარდა საკუთრივ ქართველებისა, შეისწავლეს ქვეყანაში მცხოვრები თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენელთა ყოფა და კულტურა. ქართულ ეთნოლოგიურ სკოლაში ჩამოყალიბდნენ, როგორც მეცნიერები, აფხაზი და ოსი ეროვნების წარმომადგენლები, ასევე, ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

სამწუხაროდ, დღეს ეთნოლოგებისა და, საერთოდ, ეთნოლოგიური მეცნიერების სრული იგნორირება ხდება. რაც მთავარია, ეთნოლოგებს აღარ აქვთ საშუალება ველზე მუშაობისა. ექსპედიციები კი ამ მეცნიერების ძირითადი საფუძველია.

**იმის გამო, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ან არ იცის, ან ვერ იცლის ამ დარგისათვის, გამოუყენებელი რჩება ეს შესანიშნავი რეზერვი. და ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს 20 პროცენტი ტერიტორიისა დღემდე რჩება ჩვენი იურისდიქციის გარეთ და საქართველოს განმთლიანებას აღარ დაადგა საშველი.**

რა ფორმით შეიძლება ეთნოლოგთა გამოყენება და როგორ უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი დღევანდელ პრობლემებში?

ეთნოლოგები დღეს მოღვაწეობენ მეცნიერებისა და განათლების ცენტრებში — ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს (ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ეთნოლოგიური მუზეუმი ღია ცის ქვეშ და სხვა) სისტემებში. საჭიროა სხვადასხვა უწყებებში მომუშავე ეთნოლოგების კოორდინაცია ეროვნული პრობლემების გარშემო.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სამთავრობო დონეზე შეიქმნას კომისია ან ე.წ. **„ეთნოლოგიური სამსახური“**, რომელიც კონსულტაციას გაუწევდა ყველა დაინტერესებულ პირს ან პირთა ჯგუფს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არსებობს ცნება **„გამოყენებითი ეთნოლოგია“** და უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენ პიონერები არ ვიქნებით.

ამჟამად სამეცნიერო დაწესებულებების რეორგანიზაციის შედეგად ეთნოლოგთა დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა. უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი საკითხების პროგნოზირების თუ პრაქტიკული რეკომენდაციების შემთხვევაში სპეციალისტები მოსაძებნი გაგვიხდება!

საინტერესო ფაქტია: რუსეთის ერთ-ერთ ჩრდილოეთის ავტონომიურ ოლქში გაიყვანეს ნავთობსადენი, რომელმაც ტერიტორია ორ ნაწილად გაყო. ამ რეგიონში ირმების დიდი ჯოგი დარჩა ცალ მხარეს. შემდგომში გადაწყვიტეს გადასასვლელი ხიდების გაკეთება ირმებისთვის... ხიდებთან კი მათ მგლები ელოდებოდნენ.

ეს მოსკოველი ეთნოლოგის, პროფესორ ვ. პიმენოვის მონათხრობი იმის დასტურია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოლოგთა მონაწილეობას დაგეგმვასა და მართვაში.

აქვე უნდა ვთქვათ ეთნოლოგიის სხვადასხვა პრობლემისა და თემის **ეთნოლოგიური ექსპერტიზის** ფორმაზე. აქ იგულისხმება დასახლების სტრუქტურა და საცხოვრებელი პოლიეთნიკურ გარემოში, ტრადიციული ტანსაცმელი და თანამედროვე მოდა, ხალხური კულინარია და თანამედროვე საზოგადოებრივი კვების სისტემა, სოფლის მეურნეობის სისტემა და მისი მართვის ორგანიზაცია, ხალხური შემოქმედების შესწავლა და სწორი ორიენტაციის შემუშავება, რათა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა გაყალბებისგან დავიცვათ.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეთნოენობრივი მდგომარეობა, ეთნოკულტურული ინტერესების გამოკვლევა, ხალხებს შორის კულტურული დიალოგი, „ეთნოლოგიური სამსახურის“ გამოყენების ასპექტები, კავკასიის ეთნოკულტურული სამყარო და სხვა.

**გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი,**
**არქიტექტორი, დიზაინერი, ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი**

◉ მოსკოვთან ბრძოლების 65 წლისთავი

# მოჟაისკის გზატკეცილის მონატრება

***ქუჩაში მხნედ მომავალი, საბრძოლო ორდენების თამასით მკერდდამშვენებული ეს ჭარმაგი კაცი შოთა გენგიურია. გორელები მას კარგად იცნობენ. ვისთვის ნაცნობი ან მეგობარია, ვისთვის — ახლობელი, შოთა გენგიური ვის გორის მილიციაში ახსოვს, სადაც ბარე მეოთხედი საუკუნე იღვაწა, მათ შორის ოთხი წელი მილიციის უფროსის თანამდებობაზე. დღეს თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი დამსახურებულ პენსიაზეა და გორის ვეტერანთა საბჭოს თავკაცობს.***

***შოთა გენგიურმა მეორე მსოფლიო ომის გრიგალები გამოიარა. 43-ში, კურსკის რკალზე, ლითონი რომ დუღდა, კავშირგაბმულობის ცალკეული ბატალიონის მეკავშირეებთან ერთად ფრონტის შტაბთან დივიზიების შეუფერხებელ კავშირს უზრუნველყოფდა. ახლა კი მოსკოვთან ისტორიული ბრძოლების 65 წლისთავი სრულდება. შოთა გენგიურმა მოსკოვის ბრძოლებშიც გამოიჩინა თავი და კითხვაც გამზადებული მაქვს:***

**— 1941 წლის 7 ნოემბერი თუ გახსოვთ...**

— გუშინდელი დღესავით. — მეუბნება მოსკოვის ბრძოლების მონაწილე. — 7 ნოემბერი ნისლიანი, ნაცრისფერი დილა გათენდა. თოვდა და სუსხიანი ქარიც ქროდა. ყინვამ მინუს 18 გრადუსამდე დაიწია. თოვლისგან გადათეთრებულ ქუჩებში ადამიანები ჩქარი ნაბიჯით დადიოდნენ, მკაცრი და მოლუშული გამომეტყველება ჰქონდათ. იგრძნობოდა, რომ ქვეყნის ყოფნა-არყოფნა სასწორზე იყო შეგდებული. და თუმცა სადგურ „ბელორუსკაიასთან“ ვიდექით, იმ ისტორიული პარადისა და მავზოლეუმის ტრიბუნაზე სტალინის გამოსვლაზე მხოლოდ შუადღეზე შევიტყვეთ — იმდენად მკაცრად იყო ყველაფერი გასაიდუმლოებული. მახსოვს, მთელი დღე მახორკის მოსაწევადაც ვერ მოვიცალე — დაძაბული ვადევნებდით თვალს კავშირგაბმულობის ხაზებისა და სისტემების მუშაობას. იმ დღის მთავრობის სატელეფონო ხაზების დაცვაც ჩვენ დაგვავალეს.



როგორც ცნობილია, წითელი მოედნიდან ჩვენი არმიის ნაწილებმა პირდაპირ ფრონტს მიაშურეს. „დაე, ამომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ... დაე, გფარვიდეთ“... უმაღლესი მთავარსარდლის ამ სიტყვებს გახუნება არ უწერია...

ზამთრის მზიანი დღეა და ჩვენ ი. სტალინის გამზირს მივუყვებით. შოთა გენგიურს ვეკითხები თავისი შვილიშვილის შვილი ოთხი წლის გიორგი გენგიური მოსდევს და ყურადღებით უსმენს ჩვენს საუბარს, საუბარი კი არცთუ მთლად ხალისიანი გვაქვს: უკანასკნელ წლებში რუსეთმა, უფრო სწორად, სახელმწიფო დუმის აგრესიულმა დეპუტატებმა იმდენი წყენა მიაყენეს ჩვენს ქვეყანას, ვერც დაითვლის კაცი. საბედნიეროდ, რუსეთი, ასე მიაჩნია შოთა გენგიურს, მარტოოდენ სახელმწიფო დუმა როდია, სადაც საქართველოს წინააღმდეგ მტრულ დადგენილებებს ღებულობენ. დავიცადოთ ცოტა, მდგომარეობა შეიცვლება, წყალნი წავლენ და წამოვლენ და მოსკოვში ჩასვლის საშუალებაც მოგვეცემა. 15 საბრძოლო ჯილდო მაქვს მიღებული. განსაკუთრებით მემაყება მედალი „მოსკოვის დაცვისთვის“. აი, ამ მედალს დავიკიდებ მკერდზე და მოჟაისკის გზატკეცილზე ფეხით გავივლი. მახსოვს, სწორედ იქ, სამოცდახუთი წლის წინათ, ფაშისტურმა თვითმფრინავმა ჩვენი სიმაგრეები დაბომბა. სანგრებში ჩახტომა ვერ მოვასწარით. შორიახლო ბომბი აფეთქდა და იქაურობა [illegible] რამდენ ხანს ვეგდე თოვლში, არ ვიცი. გონზე რომ მოვედი, მხარში ძლიერი ტკივილი მტანჯავდა. ფარაჯის ქვეშ ხელი მოვისვი — სისხლი მდიოდა მხრიდან და თოვლზე წვეთ-წვეთ ეცემოდა. სანიტრებს დაჭრილები საველე ჰოსპიტალში გადაჰყავდათ. მეც საკაცეზე დამდეს და წამიყვანეს. საბედნიეროდ, ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა. ჩემს ნაწილს მალე დავუბრუნდი.

მოჟაისკის მისადგომებთან გზისპირა ბექობზე დაღვრილი ჩემი სისხლი ალალი იყოს მოსკოველებზე, რუსეთზე — ეს ხალხიც მიყვარს და ქვეყანაც, მაგრამ მოსკოვში რომ არ გიშვებენ და იქიდან ზიზღით უკან გერეკებიან, ეს მტკენს გულს. მჯერა, ასე დიდხანს არ გაგრძელდება. თუმცა ისიც თქმულა, კაცი ბჭობდაო... ამიტომ ამ პატარა ბალღს, ჩემს შვილიშვილის შვილს გიორგი გენგიურს, დავუბარებ, როცა დავაჟკაცდება, აუცილებლად ჩავიდეს იქ, სადაც ამ 65 წლის წინათ ვიბრძოდი. ვიცი, გულს მოეფონება, სიამაყის გრძნობა დაეუფლება, დიდი პაპის საბრძოლო ადგილებს რომ მოინახულებს. ეჭვი არაა, ჭიქებში გორული მწვანეც ჩამოისხმება და გიორგი და მისი რუსი მეგობრები შენდობასაც შემომითვლიან...

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

# ქირის მორევი

ქალები და კაცები ერთად იძინებენ ყაზარმებში და ასევე ერთად ბანაობენ აბანოში. პირველად ეს ზოგს ეხამუშება, მაგრამ პრობლემა მალე იხსნება, როცა სასირცხვო ადგილები პირსახოცით იფარება. თუ რომელიმე კაცს პირსახოცი ვერ აჩერებს (რომელიმეს?), მაშინ მას პასუხისმგებლობა ეკისრება სექსუალური დევნისთვის. სექსუალურ დევნაში კი ითვლება გაარშიყება, ალგზნებული შეხედვა, ხელის წაფათურება...



## საით მივდივართ?

# ამორძალის წიხლი

**ისეთი კისრისტეხით იპყრობენ ქალები ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, რომ ხვალ შეიძლება კაცებისთვის ადგილი აღარ დარჩეს. ერთ დროს სუსტი სქესის წარმომადგენელი ამა თუ იმ ქვეყანაში პრეზიდენტადაც მოგვევლინა, პარლამენტის თავმჯდომარედაც, თავდაცვის მინისტრადაც, კომპანიის დირექტორადაც, მოკრივედაც, პოლიციელადაც, ჯარისკაცადაც... საქმე ისე მიდის, შეიძლება ფემინისტურმა მოძრაობამ კაცობრიობა მატრიარქატშიც კი დააბრუნოს.**

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში კვოტებიც კი დააწესეს. მთავრობაში ან პარლამენტში ქალები აუცილებლად უნდა წარმოადგენდნენ სულ ცოტა 40 პროცენტს. ამის გამო ზოგან მინისტრებად ან პარლამენტარებად სკანდალური პიროვნებებიც მოხვდნენ, მაგრამ რას იზამ, — კანონი კანონია და მისი დარღვევა არაფრით არ შეიძლება. სულ ახლახან ფემინისტებმა „თანასწორობის მათრახი" საქართველოსაც გადაჰკრეს, — თქვენ მთავრობაში ქალები საერთოდ აღარა გყავთო (სალომე ზურაბიშვილი და თამარ ლებანიძე გავუშვითძ, პარლამენტშიც ქალთა წილი ათიოდ პროცენტს ძლივს შეადგენსო. ჰოდა, ჭკუაზე მალე მობრახუნდით, თორემ ისეთი წიხლი ვიცით, კაცებს არ დაესიზმრებათო.

მთავრობის და პარლამენტის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბევრ სფეროში, მაგალითად, ჯარში ჩვენ უკვე მივბაძეთ სხვებს, თუნდაც ისრაელს, ტაილანდს. ჩვენს პატრიოტულ ბანაკებშიც და რეზერვისტთა კარვებშიც კარგა ბლომად არიან გოგონები. მათ შეხვდებით სამხედრო ნაწილებშიც, თუმცა ზოგ ქვეყანას ისეთი პროექტი აქვს, იმას ვინ დაეწევა. პროექტები კი არა, ეს საომარი გეგმებია ქალებსა და კაცებს შორის, დიახ, საომარი...



აქამდე შვედეთში სავალდებულო სამხედრო სამსახური ეხებოდა მხოლოდ ბიჭებს. გოგონები იქ მიდიოდნენ ნებაყოფლობით (სულ რაღაც 4 პროცენტიაძ. თუმცა ფემინისტებმა საწადელს მიაღწიეს და პარლამენტის მეშვეობით ჯარი გოგონებისთვისაც სავალდებულო სამსახური გახადეს. 2010 წლიდან იქ სუსტი სქესის წარმომადგენლები ჯარისკაცის (თუ ჯარისქალისძ ჩექმებს მასობრივად ჩაიცვამენ. მარტო ჩაიცვამენ?

შვედეთის შეიარაღებული ძალების ოფიციალურ ინტერნეტსაიტზე პირდაპირ წერია: ქალები და კაცები ერთად იძინებენ ყაზარმებში და ასევე ერთად ბანაობენ აბანოში. პირველად ეს ზოგს ეხამუშება, მაგრამ პრობლემა მალე იხსნება, როცა სასირცხვო ადგილები პირსახოცით იფარება. თუ რომელიმე კაცს პირსახოცი ვერ აჩერებს (რომელიმეს?ძ, მაშინ მას პასუხისმგებლობა ეკისრება სექსუალური დევნისთვის. სექსუალურ დევნაში კი ითვლება გაარშიყება, ალგზნებული შეხედვა, ხელის წაფათურება...

ცხადია, კაცებს (უფრო სწორად, ჯანღონით სავსე ახალგაზრდებსძ ეს წესი ხშირად ვერ აჩერებს და ამღვრეულ სისხლს ზოგი მაინც გასაქანს აძლევს. თუმცა სექსუალური ხასიათის ნებისმიერი გადაკვრა ყველას ძალიან ძვირად უჯდება. კერძოდ, მთელს შვედეთში ტოტალურად ჩამოაყალიბეს „ფემინისტური თავდაცვის" კურსები, სადაც სისტემატურად წვრთნიან მომავალ ამორძალებს. მათ ასწავლიან, რომ კაცებს უპირველესად, უნდა მოარტყან თვალებში, მუხლისთავებში და (მაპატიეთძ საზარდულში. თანაც უნდა მოარტყან ყვირილით. ეს ქალს ძალას მატებს, კაცს კი — აშინებს. მალე კურსები გადავა სკოლებში. უშუალოდ სპორტულ დარბაზებში, კლასებში, დერეფნებში... ვაი, ამ ქვეყნის კაცებს!

სხვათა შორის, სპეციალური კურსები გახსნილია კაცებისთვისაც. ისინი სწავლობენ ემოციების მოთოკვას, ქალისადმი ნაზ დამოკიდებულებას, მათდამი თანადგომას, ერთი სიტყვით, სრულ „დაჩმორებას", სექსის გადავიწყებას. ნეტავ, ვის სჭირდება ან ასეთი გამამლებული ქალი ან ასეთი დადედლებული კაცი? ვისა და... დემოკრატიას, ცივილიზაციას, ფემინიზაციას, მაშ!

**ბონდო გულიაშვილი**

## სასამართლო

# პირველი პირველივე დანაშაულზე ჩავარდა

**მესტიელმა 22 წლის პაატა პირველმა ფულის შოვნა იოლი გზით გადაწყვიტა. საამისოდ დილომში, მეოთხე საავადმყოფოს ეზოში, შავი ფერის „მერსედესი" შეათვალიერა და...**

2005 წლის 8 აგვისტოს, დილისით, მთვრალმა პირველმა, ეგრეთ წოდებული „ატმეჩკის" გამოყენებით, მანქანის კარიც წამიერად გახსნა, ძრავიც აამუშავა და დიდი სისწრაფით გურამიშვილის გამზირზეც გააქროლა.



მანქანის პატრონმა ილია ქადაგიშვილმა მომხდარის შესახებ პატრულს მაშინვე შეატყობინა. სამართალდამცველებმა გამტაცებელი გუდამაყრის და ბულაჩაურის ქუჩების გადაკვეთაზე დააკავეს.

მისი საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ ახლახან განიხილა. განსასჯელმა დანაშაული გულწრფელად აღიარა. როგორც ჩანს, მოსამართლე ბაჩანა ... (correction: მოსამართლე) მოწმის ...

## ერიჰაა!

# ყველაფერს ჩვენ გვაბრალებენ

**მთელი მოსკოვი შეიძრა, — კიდევ ერთი ქართველი ავტორიტეტი, კანონიერი ქურდი დავაკავეთო, მას ჯიბეში 33 გრამი ჰაშიში ვუპოვეთ და მალე გისოსებს მიღმა გავუშვებთ, რათა „წესრიგი" გარეთ კი არა, შიგნით დაამყაროსო.**

ახლა არ იკითხავთ ვინაა ეს ქართველი ავტორიტეტი, კანონიერი ქურდი? ვინა და... ვაგიფ სულეიმანოვი. იგი 41 წლის წინათ კი დაბადებულა საქართველოში, მაგრამ ამჟამად უზბეკეთის მოქალაქე ყოფილა და საყვედურიც იმ ქვეყნისთვის უნდა ეთქვათ, თუმცა... ჯინი ჩვენი სჭირთ და...



რუსული პრესაც კი გაოცებით კითხულობს, — ვაგიფ სულეიმანოვი უფრო ჩეჩნურ ან აზერბაიჯანულ წარმომავლობაზე მიუთითებს, ვიდრე ქართულზე ან სომხურზე და ამ სამართალდამცველებს, ნეტავ, რა დაესიზმრათო? პასუხის გამცემი არავინაა. მთავარია, საბუთებში ეწეროს, — დაბადებულია საქართველოში და გინდ ბინ ლადენი იყოს, გინდ სადამ ჰუსეინი, რა მნიშვნელობა აქვს?

**ბადრი ღვინიაშვილი**

## შორს ჩვენგან

# დეპრესია გაგვანადგურებს!

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 2002 წელს პლანეტაზე შიდსმა შეიწირა 2,8 მილიონი კაცი, თამბაქომ კი — 5,4 მილიონი. 2030 წლისთვის ეს ციფრები გაიზრდება, შესაბამისად, 6,5 და 8,3 მილიონამდე. ამ პერიოდისთვის უფრო საშინელ შედეგებს მოიტანს დეპრესია.



## ჭრუანტელი

### უფასო ჰაერიღა დარჩა!

სულ მსოფლიოში 140 ათასი კილომეტრი ფასიანი გზებია. ისინი განთავსებულია პლანეტის 30 ქვეყანაში. მათ შორის, ჩინეთშია 34 ათასი კილომეტრი, სამხრეთ კორეაში — 28, საფრანგეთში — 10, აშშ-ში — 9, იტალიაში — 7, მექსიკაში — 6... ამჟამად ავტობანი საქართველოშიც შენდება. იქ ფულს, ალბათ, ჩვენც დაგვაყაჭინებენ.

### ყელში ამოუვიდათ

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მსოფლიოს მასშტაბით მაყურებელთა სამ მეოთხედს უკვე ყელში ამოუვიდა სატელევიზიო რეალითი-შოუები (ვთქვათ, ჩვენებური ჯეობარებიძ. რუსეთში ასეთი გადაცემები სასტიკად აღიზიანებს გამოკითხულთა 94 პროცენტს, საბერძნეთში კი — 96 პროცენტს.

### ტრაგედია ცაში

ნებისმიერი ქვეყნის (მაგალითად, რუსეთისძ თვითმფრინავები სულ ცოტა 2 დღეში ერთხელ მაინც ცაში ეჯახებიან ფრინველებს. ასეთი შეჯახებები ხშირად ტრაგედიით, მსხვერპლითაც კი მთავრდება. შეჯახებათა 26 პროცენტი მოდის მტრედებზე, 22 პროცენტი — წეროებზე, 19 პროცენტი — თოლიებზე, 14 პროცენტი — იხვებზე, 13 პროცენტი — არწივებზე და 6 პროცენტი — ბეღურებზე.

### მეტი ეკუთვნოდა!

ამერიკელმა შოუმენმა კარლ გეკმა მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი სპეციალური ტელეგადაცემებით, საბავშვო პროგრამებით. მას პატარები სამოგზაუროდაც დაჰყავდა და... მათთან თურმე სექსუალურ ორგიებს მართავდა. 22 ბავშვის გაუპატიურებისთვის ახლახან პედოფილს თავისუფლება 22 წლით აღუკვეთეს.

### პიკასო ცოცხალია?

ექსპერტთა დასკვნით, XX საუკუნის ყოველი მეათე ფერწერული ტილო ყალბია. ახლახან ლონდონში მოეწყო მსოფლიოს უდიდესი ფალსიფიკატორის ჯონ მაიათის სურათების გამოფენა. მან საერთაშორისო სამხატვრო ბაზარს შემატა მონეს, შაგალის, მატისის, გრისის, პიკასოს და სხვათა ისეთი „შედევრები", რომელთა ამოცნობა უდიდეს ექსპერტებსაც კი უჭირთ.

### ვისი ხარ, ვანია?

35 მილიონი შეუღლებული წყვილიდან რუსეთში ხელმოუწერელია (ან ჯვარდაუწერელიაძ 3 მილიონი. ამ ქვეყანაში უქორწინოდ იბადება ბავშვების 30 პროცენტი. „ლევად" მოვლენილთა საერთო რაოდენობაში კი პირველი ბავშვია — 53 პროცენტი, მეორე — 35, მესამე — 12 პროცენტი. მსგავსი ამბები უკვე საქართველოშიც მოხშირდა.

№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.

# კვირაძალი

● ხელოვნების ელიტურ ენაზე მსუბუქი საუბარიც კი კეთილად განგვაწყობს, მით უმეტეს, თუ „დონესთან“ გვაქვს საქმე...





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №80

№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.



# მაესტრომ ბავშვობაში დაბრუნება ვერ შეძლო...

**გალერეა „კოპალაში“ ცნობილი სცენოგრაფის და მხატვრის გოგი ალექსი-მესხიშვილის პერსონალურმა გამოფენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ვერნისაჟზე საზეიმოდ შეკრებილ ჩვენს საზოგადოებას შეუძლია დასტკბეს და საჯაროდ აღტაცდეს, რითაც გნებავთ და როგორც გნებავთ, თუკი აღიარებულ სახელთან გვაქვს საქმე.**

ჩვენც დიდი სიამოვნებით გავიზიარებდით საერთო განწყობილებას, რომ არა გაცილებით მეტის მოლოდინი, რასაც ამ მართლაც ნიჭიერი მხატვრის შემოქმედებითი გზა ითვალისწინებს... მაგრამ რაც არ უნდა კრიტიკულად მივუდგეთ გამოფენილ ფერწერულ ნამუშევრებს (ალბათ უფრო კოლაჟებსძ, ხელოვნე-



ბის ამ ელიტურ ენაზე მსუბუქი საუბარიც კი კეთილად განგვაწყობს, მით უმეტეს, როცა „დონესთან“ გვაქვს საქმე.



ერთგვარი სიმსუბუქე და ზედაპირულობა ჩვენი ეპოქის თანამედევი სტილია და ალბათ – რთული მდგომარეობიდან გამოსავალიც, ვინაიდან ფორმისმიერი ექსპერიმენტების, როგორც შესაძლებლობების, დაძლევა, ვფიქრობთ, გასული, XX საუკუნის დასაწყისში დასრულდა და დღეს ხელოვანი ოდენ პიროვნულობის ნიშნით შეიძლება იყოს ახლისმთქმელი და საინტერესო.

რაც შეეხება თეატრის მხატვრობის, დაზგური ფერწერის და თუნდაც, გრაფიკის ავტონომიურობას, ბატონი გოგი გვეთანხმება, რომ თუ ამ სხვადასხვა დარგში ერთი და იგივე ადამიანი მუშაობს, საერთო ესთეტიკასაც ქმნის და ერთი ფორმის მეორეში გარდამავლობასაც. იქვე აზუსტებს, რომ ანალოგიური საუბრები ხელოვნებათმცოდნეობის სფეროა და არა მხატვრის განსჯის საგანი, ვისი მოვალეობაცაა უზრალოდ, აჩვენოს, წარმოადგინოს.

ვერნისაჟზე პრეს-რელიზის სანაცვლოდ რეჟისორ **ირსონ ვერსის** ერთ-ერთი ფილმის (როგორც ბატონმა **საშა რეხვიაშვილმა** განმარტა: „კლასიკად ქცეული ნაწარმოების“ძ შინაარსმა და კონცეფციამ გაიჟღერა, სადაც საუბარია მოქალაქე კეინზე, რომელიც სამუდამოდ მარტოობაში კვდება. ნახსენებია სიტყვა „rose-bud“ (განმარტებით – ენიგმაძ, აქვეა ურწმუნობა ჭეშმარიტი სიყვარულის მიმართ, ფიგურირებს კეინის ნაქონი ნივთიც – ციგა, როგორც მისი ბავშვობის სევდიანი სიმბოლო.

**გოგი ალექსი-მესხიშვილის** ექსპოზიცია პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ ფილმისადმია მიძღვნილი. ამასთან ერთად, საკუთარი ბავშვობისადმი, რაც, როგორც ყოველთვის, მუდამ ნოსტალგიის სფეროა...

თუკი სიტყვები ხსოვნაა, ხსოვნაა ფერიც, საგნობრივი სამყაროც...

წარსულში, ბავშვობაში დაბრუნების რეტროსპექტივა საგამოფენო სივრცეში დიდი გემოვნებითაა წარმოდგენილი. ეს თემა მხატვარ გოგი-ალექსი მესხიშვილის არა ადრინდელი, ჩვეული პასტოზური ფერწერით, არამედ თითქოს განგებ ბავშვის ხელწერას მიმგვანებულ ნახატებში და კომპოზიციაში ორგანულად ჩასმული ბავშვობის ნივთებით ან ნივთების ნამსხვრევებითაა გადმოცემული.

ლირიკა, რასაც შინაგანი დრამატიზაცია ახლავს, შთაბეჭდილების წარმმართველი ხდება, ხოლო ამ „წარმართვის“ ხელობა, როგორც ჩანს, ავტორმა ზედმიწევნით იცის და არაერთხელ აქვს აპრობირებული. ეს ხერხი ერთგვარი თეატრალიზაციაც გახლავთ და ვფიქრობთ, ამ თითქოსდა კლასიკური წესებით ექსპონირებულ დარბაზში არა ჩვეულებრივი, რიგითი გამოფენა, არამედ შოუ, გნებავთ, სანახაობა გაიმართა.

ძნელი სათქმელია, მაესტრო გოგი ალექსი-მესხიშვილის გახმაურებულ სახელს და მაღალ ავტორიტეტს შესძინა თუ არა კიდევ რაიმე გალერეა „კოპალაში“ გამართულმა ექსპოზიციამ, მაგრამ **ჩვენს წარმოდგენაში იგი ქართული სცენოგრაფიული სკოლის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენლად რჩება, რომელმაც თავად შექმნა საკუთარი პროფესიული სკოლა** და რომლის ბიოგრაფიაშიც ერთით მეტი თუ ერთით ნაკლები პერსონალური გამოფენა ჩაიწერება, ალბათ, აღარ არის ეს არსებითი და მნიშვნელოვანი.

**ნინო ხოფერია**

---



***საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 1881 წელს, გაზეთი „დროება“ წერდა: „ძლივს, როგორც იყო, ძლივს გველირსა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველი სასწავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი თავადი ჭავჭავაძე“...***

***ილია ჭავჭავაძე არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა აჭარაში ქართული დედა ენის სწორად სწავლებას, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ერთობას. მტკივნეულად განიცდიდა აჭარელთა გამაჰმადიანების ისტორიას, აჭარის დედა-საქართველოსთან განუყოფლობას, რაც ქვეყნის მთლიანობის იდეას გამოხატავდა. საფუძველთა საფუძველი კი იქ ქართული სკოლების გახსნა უნდა ყოფილიყო. „შინაურ მიმოხილვაში“ წერდა: „ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ ისე ძმურ სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა...“***

# „იმედია, გაამართლებ ნდობას“, – უთხრა ილია ჭავჭავაძემ

***ილია ჭავჭავაძემ, 1891 წელს, ბათუმის სკოლის გამგედ დანიშნა ცნობილი პედაგოგი და მეცენატი, იმ კუთხეში ძალიან ავტორიტეტული პიროვნება მიხეილ შარაშიძე და ესოდენ საპატიო საქმის არსი და მნიშვნელობა შემდეგი სიტყვებით განუმარტა: „ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადგილზე გამეგზავნე. იმედია, გაამართლებ ნდობას... დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის მუშაობა, გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია... იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან გამოირჩევიან მხოლოდ სარწმუნოებით...“***

***ვინ იყო მიხეილ შარაშიძე, რა პედაგოგიური გამოცდილება ჰქონდა და რატომ შეაჩერა მასზე არჩევანი ილია ჭავჭავაძემ?***

* * *

მიხეილ შარაშიძის შვილიშვილს, ქალბატონ **ლია (ცაცაძ შარაშიძეს** ვესტუმრეთ. მან თავისი საოჯახო ალბომის ფოტოები დაგვათვალიერებინა და ზოგი რამ გვიამბო კიდეც. საინტერესო მთხრობელი აღმოჩნდა. ამიტომ ნაამბობს დეტალურად, კომენტარების გარეშე გთავაზობთ.

**ლია შარაშიძე:** ამას წინათ, სწორედ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამოვიკითხე, რომ მზადდება ენციკლოპედია „აჭარა“ და საგამომცემლო-შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელს ბატონ **ოთარ გაგუას** ტელეფონით შევეხმიანე. იგი ცნობილი ჟურნალისტი და ენციკლოპედისტი გახლავთ. მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ სატელეფონო საუბრიდანაც ჩანდა, რომ განსაკუთრებულად ერუდირებულ და კეთილშობილ ადამიანს დავუკავშირდი.

*ბაბუაზე ვისაუბრეთ. შემდეგ ფოტოები გავუგზავნე და ზოგიერთი ცნობა ბაბუას ბიოგრაფიიდან. იქვე ვწერდი: „რამდენიმე წლის წინ ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა პატივი დაგვდო და ოჯახიდან გამოითხოვა მიხ. შარაშიძის მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა. გთხოვთ, მიშუამდგომლოთ მუზეუმთან, რათა შემატყობინონ გამოფენილია თუ არა ეს მასალა ან მისი გამოფენის შესაძლებლობების შესახებ“...*

*რამდენიმე დღეში პასუხიც მივიღე: „ქალბატონო ლიანა, მადლობა ესოდენ საინტერესო მასალის მოწოდებისთვის. პირადად დავინტერესდი და შევატყობინებთ, თუ რა ბედი ეწია მუზეუმის მიერ თქვენგან გამოთხოვილ ფოტომასალას.*

*კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ყურადღებისა და თანადგომისთვის.*

*პატივისცემით ენციკლოპედია „აჭარის“ საგამომცემლო-შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელი* ***ოთარ გაგუა.***

* * *

აი, ეს საოჯახო ფოტო ჩემი წინაპრებისა, განსაკუთრებით მეძვირფასეება. ისინი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები არიან... ბაბუაჩემის – მიხეილ შარაშიძის ღირსებით სავსე ოჯახი... მარჯვ-

იხ. 9 გვ.

● მიხეილ შარაშიძე მთელ აჭარაში ეძებდა და უხმობდა ბავშვებს. ცხენით დადიოდა მაღალმთიან სოფლებში. აჭარელი ბავშვები ოჯახში მოჰყავდა და თავის ექვს შვილთან ერთად აცხოვრებდა, ასწავლიდა და ცხოვრების გზაზე აყენებდა...



# „იმედია, გაამართლებ ნდობას“, – უთხრა ილია ჭავჭავაძემ

(მერვე გვერდიდან)

ნივ, თეთრი წვერით ზის ბაბუა, რომელიც ჩემი ცხოვრების იდეალი იყო ყოველთვის. მეხსიერებაში ჩამრჩა, როგორც თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება, უხმაუროდ მკეთებელი დიდი საქმეებისა...

მახსოვს, მთელ აჭარაში ეძებდა და უხმობდა ბავშვებს. ცხენით დადიოდა მაღალმთიან სოფლებში. იქ წერა-კითხვაც არ იცოდნენ... აჭარელი ბავშვები ჩვენთან მოჰყავდა ოჯახში. ბაბუას და ბებიას ექვსი შვილი ჰყავდათ და მათთან ერთად ჩვენს ოჯახში მოსწავლეები, აღსაზრდელებიც ცხოვრობდნენ. ბაბუა მათ ასწავლიდა. ბებია კი ბანდა და აჭმევდა. ბებიას ხელსაქმე ეხერხებოდა და იმ ბავშვებსაც, როგორც საკუთარ შვილებს, უკერავდა და უქსოვდა. გადიოდა დრო, ზოგჯერ იმ ბავშვების მშობლები მოგვაკითხავდნენ და გაოცებულნი რჩებოდნენ საკუთარი შვილების ფერისცვალებით. ცოდნასთან ერთად მათ მანერებიც და საუბრის კილოც ეცვლებოდათ...

ერთხელ აჭარაში გერმანელები ჩამოვიდნენ და ქობულეთში საკონსერვო ქარხანა გახსნეს. შემდეგ მთელი ეს ქარხანა ბაბუას აჩუქეს. – მრავალმხრივი უნარების ადამიანად მიიჩნევდნენ მას. მართლაც, კარგად აუღო ალღო ამ ტიპის სამუშაოსაც. საკუთარი რეცეპტებიც შექმნა. იმ ქარხანაში მზადდებოდა კომპოტები, მურაბები, ჯემები... რეალიზაციის შემდგომ ყველაფერს აჭარელ ბავშვებს ახმარდა, განუზომელი იყო მისი ავტორიტეტი იმ მხარეში...

ილიამ მიხეილ შარაშიძის შესახებ ბევრი რამ იცოდა და ამიტომაც ბათუმის სკოლის ხელმძღვანელობა შესთავაზა. ბაბუა მაშინ სრულიად ახალგაზრდა – 27 წლის იყო, არა მხოლოდ განათლებული, არამედ მრავალმხრივ ნიჭიერი პიროვნება.

მახსოვს, მისმა ყოფილმა მოსწავლემ, კომპოზიტორმა **სანდრო მირიანაშვილმა** მიამბო, გიტარაზეც და ფორტეპიანოზეც დაკვრა მიხეილ შარაშიძემ მასწავლაო...

ჩვენი ისტორიის ბედუკუღმართ ხანაში, როცა ოსმალებმა ქობულეთი დაიკავეს, მიხეილ შარაშიძე იძულებული გახდა ლანჩხუთში, ქალთა გიმნაზიაში მასწავლებლად გადასულიყო.



1920 წლიდან ისევ აჭარაში ბრუნდება, ბათუმის ქალთა უმაღლესი სასწავლებლის გამგედ. ეს სასწავლებელი 1922 წელს მე-3 საბჭოთა სკოლად გადაკეთდა.

ის 1930 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა და ბათუმში დაკრძალული... ავადმყოფობის და გაუსაძლისი ცხოვრების გამო დიდი ხანია არ მინახავს ბაბუის საფლავი...

* * *

**ისევ ამ ფოტოს დავუბრუნდეთ, მარცხნივ ბებია ზის – ბაბალე დუმბაძე, ულამაზესი, უსათნოესი ქალი. მარცხნიდან დგანან ჩემი მამიდები: ელენე შარაშიძე, თამარ შარაშიძე. შუაში მამაჩემია ალექსანდრე (შოშიაძ შარაშიძე... იმდენი თაყვანისმცემელი ქალი ჰყოლია თურმე, ბათუმის და თბილისის ლამაზმანები... დღესაც ახლოვთ, რა კეთილშობილი და მომხიბლავი ადამიანი იყო...**

მამის ოჯახი გორში ვცხოვრობდით. იგი აგრონომი გახლდათ და იმ რაიონში ისეთივე მეცენატად ითვლებოდა, როგორც ბაბუა აჭარაში... გაჭირვებული ადამიანების დახმარების სურვილი და უნარი მას გენეტიკურად ერგო... პატარა გოგონები ბაბთებით, ასევე ჩემი მამიდები არიან: მარგო (კუკუტაძ შარაშიძე, შემდგომ ცნობილი სტომატოლოგი, თინა შარაშიძე, უაღრესად მგრძნობიარე ადამიანი, რომელსაც მძიმე ცხოვრების შედეგად შემდგომ ფსიქიური აშლილობა განუვითარდა. მამაჩემის გვერდით ნინუცა დგას, ასევე მამიდად მეკუთვნის, თხუთმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა...

თამარა მამიდა განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო. სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მოქანდაკე იყო. მისი ნამუშევრები – ბარელიეფები იფინებოდა თბილისის და მოსკოვის საგამოფენო დარბაზებში. დიდ თეატრშიც მუშაობდა მხატვრად.

მამიდას მეუღლე **საშა ჯაფარიძე** საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სისტემაში იყო. წითელ მოედანთან ცხოვრობდნენ, მთავრობის წევრთა სახლში, ვოროშილოვის მეზობლად... მერე უცებ, 1937 წელს ძია საშა დააპატიმრეს... მახსოვს, ერთი უმძიმესი სცენა: ჩვენთან, გორის ბინაში მოულოდნელად შემოდის სულმთლად გაფითრებული თამარა მამიდა. ამბობს, რომ ჩუმად გამოიპარა მოსკოვიდან, რომ შესაძლოა მასაც მოსდევენ და დააპატიმრონ. სთხოვს ძმას, დამალოს და საწოლის ქვეშ ძვრება. წუხს, რომ შესაძლოა მალე დააპატიმრონ და მალე უნდა გაეცალოს აქაურობას. შეშფოთებული და გაოცებული მამა ამშვიდებს, გულში იკრავს, ეფერება და ეუბნება, რომ ყველაფერი კარგად იქნება...

მამიდა მერე თბილისში დამკვიდრდა... თავისი თავი თითქოს უკან გადასწია. სხვათა ნიჭიერების ქომაგი იყო მუდამ... არაჩვეულებრივ საზოგადოებაში ტრიალებდა. მახსოვს მისი მშვენიერი მეგობრები: **ელენე ახვლედიანი, სოფიო მირზაშვილი, ქეთო კლდიაშვილი, შოთა მიქატაძე, ელენე მაჩაბელი, ნინო თამამშევა, რაისა მიქაძე, თინა მეფისაშვილი...** საბჭოთა კავშირის ყველა მხრიდან, ხელოვანი ადამიანებისგან მოსდიოდა წერილები... ეს უბრალო მოკითხვის ბარათები არ იყო... მათი შინაარსი მთელი შემოქმედება და ცხოვრების ანალიზი გახლდათ... არც ვიცი, სად არის ახლა მამიდას არქივი...

ერთი მოსკოველი მეგობარი ჰყავდა – უნიჭიერესი მუსიკოსი – არფაზედამკვრელი. მახსოვს, მისი სიკვდილი ძალიან განიცადა. წერილიც დაწერა „Покинутая арфа“... მეგობრებთან ერთად კითხულობდა და ყველა ტიროდა...

რაც განსაკუთრებით დამამახსოვრდა, იყო ის, რომ ეს ძალიან ახლობელი ადამიანები, ასე ვთქვათ, შინაურები, ერთმანეთს უჩვეულო რიდით და მოკრძალებით ექცეოდნენ. ჩემთვის ეს გახლდათ ურთიერთობის კულტურის დიდი გაკვეთილები...

**ხედავთ, რამდენი ფიქრი და მოგონება შეიძლება აღძრას ერთმა საოჯახო ფოტომ, რომელიც უკვე დროისგან გაყვითლებულია და გაცრეცილი... მთავარი კი ალბათ ის არის, რომ წარსული არასოდეს არ გვტოვებს ისე, როგორც ჩემი საამაყო ბაბუის ოჯახში გატარებული ზოგჯერ მძიმე, მაგრამ მაინც მშვენიერი დრო...**

**თქვენს გაზეთსაც უკეთეს დროებას ვუსურვებ...**

**ლია შარაშიძე**



№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.




ეს ფოტო 1912 წელს ჟენევაშია გადაღებული – ექიმი ბესარიონ ოქროპირიძე მომავალ მეუღლესთან ერთად... ავსტრიელი ქალიშვილი – იულიანა ლუდენბერგი იმ დღეს გადაწყვეტს, რომ რადიკალურად და საბოლოოდ შეცვალოს თავისი მომავალი, ანუ საკუთარი სამშობლოდან უცხო და შორეულ ქვეყანაში გაემგზავროს... ბედი აქამდე სრულიად უცნობი ქვეყნის შვილს – ქართველ მამაკაცს სამუდამოდ დაუკავშიროს.

ეს ფოტო ამ გადაწყვეტილების სახსოვრადაა გადაღებული...

იქამდე კი მოვლენები ასე განვითარდა: ბესარიონის მამამ, სასულიერო პირმა, შვილი შვეიცარიაში, სამედიცინო განათლების მისაღებად გაგზავნა. ასეთი პრაქტიკა ჩვეულებრივი გახლდათ იმდროინდელ საქართველოში. საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს შეეძლო ესწავლა უცხოეთის ნებისმიერ პრესტიჟულ სასწავლებელში. ნიჭიერ ახალგაზრდებს გამოუჩნდებოდნენ ხოლმე მეცენატები და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სრულიად უანგაროდ.

მომავალი ექიმი **ბესარიონ ოქროპირიძე,** სათანადო კურსის გავლის შემდგომ სასწავლებლად შვეიცარიიდან ავსტრიაში მიემგზავრება. ვენაში, ნაქირავებ ბინაში, გაიცნობს დიასახლისის დისშვილს – **იულიანას,** რომელიც საკუთარი დეიდის სანახავად პატარა ქალაქ სანქტ-გეორგენიდან ხშირად ჩამოდის...

მერე იწყება სიყვარულის ისტორია., რომანტიული ეპიზოდები და საბოლოოდ ისინი იქვე, ვენაში იწერენ ჯვარს... საქართველოში გამომგზავრებამდე უახლოეს ავსტრიელ ნათესავებს პირდებიან, რომ აუცილებლად ხშირად ჩავლენ მათ მოსანახულებლად, ანუ არასდროს გაწყდება ურთიერთობის ძაფი.

საქართველოში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოდიან. აჩენენ სამ შვილს და თბილისური ინტელიგენციის განუყოფელი ნაწილი ხდებიან.

ბესარიონ ოქროპირიძე, ცნობილი მედიკოსი, შემდგომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ტროპიკულ სნეულებათა კათედრის გამგეა. სამამულო ომის წლებში კი ინფექციურ სნეულებათა კათედრასაც ხელმძღვანელობს.

...რაც შეეხება დაპირებას, რომ ავსტრიელ ნათესავებს ხშირად მოინახულებენ, სამწუხაროდ, ვერ აასრულეს. საზღვრების ჩაკეტვასთან, რკინის ფარდის დაშვებასთან ერთად მიწერ-მოწერაც კი აიკრძალა...

მშვენიერ ავსტრიელ ქალს – იულიანას ზოგჯერ რაღაც ნაღველი გაუკრთებოდა თვალებში. ის ხომ ისე გარდაიცვალა, სამშობლო და თავისიანები ერთხელაც ვეღარ ინახულა.

ამ ურთიერთობის ისტორიაში დრომ თავისი ლოგიკური კორექტივები შეიტანა:

ბესარიონ ოქროპირიძის და იულიანა ლუდენბერგის შვილიშვილი – მხატვარი **გოგი ოქროპირიძე** ამჟამად ვენაში ცხოვრობს. მანაც ბაბუასავით ავსტრიელ ქალზე იქორწინა. მათაც ჰყავთ სამი შვილი და აქედან ერთ-ერთს, ბებიის საპატივცემულოდ, იულიანა დაარქვეს...



● „თავიანთი პოზიცია ცხინვალის რეგიონში გამართული „არჩევნების“ და „რეფერენდუმის“ არალეგიტიმურობისა და მათი პროვოკაციული ხასიათის შესახებ ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და ქვეყანამ





# რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მოწოდება „ამორალურია“

**„თავისი განცხადებებით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირო ეწინააღმდეგება საერთაშორისო გაერთიანების პოზიციას, რითაც რუსეთს საერთაშორისო ასპარეზზე სრულ იზოლაციაში აყენებს“,** – ხაზგასმულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტის კომენტარში, რომელიც მან გამოთქვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ 6 დეკემბერს მიღებულ განცხადებასთან დაკავშირებით.

„თავიანთი პოზიცია ცხინვალის რეგიონში გამართული „არჩევნების“ და „რეფერენდუმის“ არალეგიტიმურობისა და მათი პროვოკაციული ხასიათის შესახებ ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და ქვეყანამ, მათ შორის ეუთომ, ევროკავშირმა, ევროპარლამენტმა, ევროპის საბჭომ, ნატომ, შეერთებულმა შტატებმა და სხვა“, – აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარში.

„საერთაშორისო გაერთიანებისადმი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მოწოდება კი, რომლებიც მოითხოვენ, რომ გაითვალისწინონ „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხების თავისუფალი ნების გამოვლინება“, უბრალოდ, ამორალურია, რადგან კონფლიქტური რეგიონებიდან განდევნილია მშვიდობიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, უწინარეს ყოვლისა, ქართველები. იქ ქართველთა ეთნიკური წმენდა დაადასტურეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და თვით რუსეთის ფედერაციამაც. ასეთი მოწოდება მით უფრო არაგულწრფელად ჟღერს, როცა თვით იმავე სათათბირომ დაუჭირა მხარი რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი სუბიექტების – ავტონომიური წარმონაქმნების გაუქმებას, და არ გაითვალისწინა ამ მცირერიცხოვან ხალხთა ნება“, – აცხადებს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყება.

„რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ასეთი განწყობილება და მის მიერ მიღებული განცხადებების შინაარსი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს, იმ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც რუსეთმა იკისრა როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში. ასეთი განცხადებები სერიოზულ ზიანს აყენებენ საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ფედერაციის ავტორიტეტს და რეპუტაციას“, – აღნიშნავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.



„მოვუწოდებთ საერთაშორისო გაერთიანებას, ეუთოს, გაეროს, ევროკავშირს, ევროპის საბჭოს, ჩვენს პარტნიორებს და, კერძოდ, მეგობარი-ქვეყნების პარლამენტებს შესაბამისი შეფასებები მისცენ რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ ამ მოუფიქრებელ განცხადებას“, – ხაზს უსვამს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

REGNUM

# „ნაჩქარევი და არაშორსმჭვრეტელური“

**რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შესახებ 6 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უწოდა „ნაჩქარევი და არაშორსმჭვრეტელური“.**



„დოკუმენტის ავტორებს არ სურთ აღიარონ ახალი რეალიები კონფლიქტის ზონებში და მანიპულირებენ გამოგონილი ციფრებით და ფაქტებით, სიტუაციას წარმოადგენენ დამახინჯებული სახით“, – ხაზგასმულია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალურ კომენტარში, რომელიც ხუთშაბათ საღამოს გამოქვეყნდა.

„ასეთი მიკერძოებული მიდგომით, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირო აყენებს ეჭვქვეშ არა მარტო რუსეთის, როგორც კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში შუამავალი ქვეყნის იმიჯს, არამედ საბოლოოდაც ახდენს კონფლიქტების ზონებში რუს სამშვიდობოთა ყოფნის მორალური და სამართლიანი საფუძვლების დისკრედიტაციას“, – მიაჩნიათ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ის, რომ რუსი დეპუტატები მოუწოდებენ საერთაშორისო გაერთიანებას გაითვალისწინოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხალხების „თავისუფალი ნება“, „უბრალოდ ამორალურია, რადგან კონფლიქტის ზონებიდან განდევნილია მშვიდობიანი მოსახლეობა, უწინარეს ყოვლისა, ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა“, – აღნიშნავს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყება.

იგი მოუწოდებს რუსეთის ხელმძღვანელობას არ მოექცეს სახელმწიფო სათათბიროს მიერ გაკეთებული ემოციური და გაუწონასწორებელი განცხადებების ზეგავლენის ქვეშ და ამით თავიდან აიცილოს ისედაც რთული ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი ესკალაცია.

როგორც ცნობილია, 6 დეკემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ რუსეთმა აფხაზეთის მიმართ თავისი პოლიტიკა უნდა წარმართოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების, რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ასოცირებული ურთიერთობის დამყარების შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიმართვის გათვალისწინებით, აგრეთვე საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებისა და რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ რეფერენდუმი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შესახებ და პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად და საერთაშორისოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპებისა და ნორმების დაცვით.

სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმის შედეგები, „რომლებიც ასახავენ ამ რეგიონის მოსახლეობის ჭეშმარიტ მისწრაფებას, მთლიანად უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო გაერთიანებამ სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის და ქართულ-ოსური კონფლიქტის სამართლიანი მოგვარების მიზნით“, – ხაზგასმულის რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის მიერ მიღებულ განცხადებაში.

НЕЗАВИСИМАЯ

# პუტინი: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას საქართველოს ხელმძღვანელობა აუარესებს

**„რუსეთსა და საქართველოს შორის არანაირი კონფლიქტი არ არსებობს. ჩვენთვის გაუგებარი მოსაზრებებით, საქართველოს ხელმძღვანელობა აკეთებს ყველაფერს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუარესებისთვის“,** – ხაზგასმულია წერილობით ინტერვიუში, რომელიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მისცა მექსიკელ გამომცემელს მარიო ვასკეს რანიას.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის აზრით, ამ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელმძღვანელობა „თანამიმდევრულად ახორციელებს ანტირუსულ პოლიტიკას“. „აქ იგულისხმება როგორც ცივილიზებული ნორმებისათვის არაადეკვატური რიტორიკა, ისე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსი სამშვიდობოების მიმართ გამოთქმული გამოგონილი ბრალდებები, პროვოკაციები, ჯაშუშომანია“, – აღნიშნავს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

„სიტუაციის ასეთი განვითარება ხდება საქართველოს დაჩქარებული და არაადეკვატური მილიტარიზაციის ფონზე, რაც უქმნის საფრთხეს კავკასიაში სტაბილურობას და უშიშროებას“, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

მისი აზრით, „ფაქტობრივად მიმდინარეობს მზადება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ძალისმიერი მოგვარებისათვის. სამშვიდობო მოლაპარაკების ნაცვლად ისმის აშკარა მუქარა სოხუმისა და ცხინვალის მისამართით“, – დაასკვნა რუსეთის პრეზიდენტმა.



შეეხო რა საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტში ევროკავშირის სავარაუდო საშუამავლო როლს, რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა თქვა: „ჩვენს მეზობლებთან ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესში შუამავლები არ არის საჭირო“.

„საქართველოს და რუსეთს აქვთ მეგობრული კავშირურთიერთობის დამყარების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. სწორედ ამაზე ვილაპარაკეთ ჩვენ პარტნიორებთან, მათ შორის ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების წარმომადგენლებთან შეხვედრისას. და ისინი საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან საუბრების დროს თუ მიზანშეწონილად ჩათვლიან შეაგნებინონ მას, რომ კონტრპროდუქტიულია რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების ხარჯზე ისეთი დაძაბულობის ატმოსფეროს შექმნის მცდელობა, რომელიც გაამართლებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალისმიერ მოქმედებას, ასეთ წვლილს ჩვენ მხოლოდ მივესალმებით“, – თქვა დასასრულს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

НОВОСТИ

● 2005 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მომხდარი უწესრიგობების შედეგად გადაწვეს 10 ათასზე მეტი ავტომანქანა, 300-ზე მეტ სახლს კი დაუშინეს ცეცხლგამჩენი სითხით სავსე ბოთლები



# უწესრიგობებში პოლიცია მონაწილეობდა

**დადასტურდა, რომ პოლიციელები მონაწილეობდნენ 2005 წლის ოქტომბრის ტრაგიკულ ინციდენტში, რომლის შემდეგაც საფრანგეთის ქალაქების გარეუბნებს მოედო უწესრიგობის ტალღა.**

როგორც შიდაგამოძიებამ დაადგინა, 2005 წლის ოქტომბერში პოლიციელებმა რამდენიმე მოზარდი შერეკეს პარიზის კლიში-სუ-ბუას გარეუბანში მდებარე ელექტროქვესადგურში, რის შედეგადაც მაღალი ძაბვის გამო დაიღუპა ორი მოზარდი.

ადვოკატმა ჟან-პიერ მინიარმა, რომელიც იცავს დაღუპულთა ოჯახების ინტერესებს, განაცხადა, რომ გენერალური ინსპექციის სამსახურის შემაჯამებელი მოხსენება (იგი ახორციელებს ზედამხედველობას პოლიციის სხვადასხვა ქვეგანაყოფის საქმიანობის მიმართ) აკრიტიკებს პოლიციელებს იმის გამო, რომ მათ არ გადაარჩინეს მოზარდები ბუნუ ტრაორა და ზიედ ბენუ.

თავდაპირველად პოლიცია უარყოფდა ყოველგვარ მონაწილეობას ამ ინციდენტში, რომელმაც გამოიწვია უწესრიგობები ჯერ პარიზის ღარიბთა გარეუბნებში, შემდეგ კი – ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებშიც.

მაგრამ საპოლიციო რადიოგაცვლის მონაცემების საფუძველზე, გენერალური ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლებმა დაამტკიცეს, რომ წესრიგის დამცველები სინამდვილეში სდევნიდნენ მოზარდთა ჯგუფს კლიში-სი-ბუაში. ხოლო როცა მოზარდებმა სცადეს დამალვა ქვესადგურის ტერიტორიაზე, პოლიციელებს არაფერი გაუკეთებიათ, რათა აეცილებინათ საფრთხე მათი სიცოცხლისთვის.

ტრაორას და ბენუს გარდა, რომლებიც დაიღუპნენ დენის დარტყმის შედეგად, სერიოზულად დაზარალდა კიდევ ერთი მოზარდი.

მოხსენების შედეგებზე დაყრდნობით, ადვოკატმა მინიარმა განაცხადა, რომ პოლიციელები იქცეოდნენ „მოუფიქრებლად და ძალზე უპასუხისმგებლოდ“. როგორც მოხსენებაშია ხაზგასმული, პოლიციელებს იმის გაკეთება მაინც შეეძლოთ, რომ დაკავშირებოდნენ Electricite de France ენერგოკომპანიას, თუმცა, ესეც ვერ იქნებოდა მოზარდების სიცოცხლის გადარჩენის გარანტია.

დოკუმენტი გადაეცა მოსამართლეს. „France Press“ სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში დაჰკითხეს ხუთი პოლიციელი.



შეგახსენებთ, რომ 2005 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მომხდარი უწესრიგობების შედეგად გადაწვეს 10 ათასზე მეტი ავტომანქანა, 300-ზე მეტ სახლს კი დაუშინეს ცეცხლგამჩენი სითხით სავსე ბოთლები. უწესრიგობების ტალღა მოედო საფრანგეთის ქალაქების იმ გარეუბნებს, სადაც ძირითადად ცხოვრობენ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან ემიგრირებულ პირთა შთამომავლები.

# ნათან შჩარანსკის მეორეჯერ მიენიჭა აშშ უმაღლესი ჯილდო

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ყოფილი საბჭოთა დისიდენტი, ამჟამად კი ცნობილი ებრაელი პოლიტიკოსი ნათან შჩარანსკი მეორეჯერ დააჯილდოვა შეერთებული შტატების უმაღლესი ჯილდოთი – პრეზიდენტის თავისუფლების მედლით.**

„ნათან შჩარანსკი იხდიდა სასჯელს საბჭოთა გულაგში მისი ნაშრომისთვის, რომელიც ეძღვნებოდა ადამიანის რელიგიური თავისუფლების და უფლებათა საქმეში პროგრესის მიღწევას“, – ხაზგასმულია თეთრი სახლის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტის თავისუფლების მედალი ენიჭებათ იმ პირებს, რომლებმაც „შეიტანეს განსაკუთრებული წვლილი შეერთებული შტატების უშიშროებაში ან ამ ქვეყნის ინტერესების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი კულტურული ან სხვა მიღწევებისთვის“.

„ნათან შჩარანსკი დღესაც იბრძვის იმ პრინციპების დამკვიდრებისთვის, რომელთა თანახმადაც ყველა ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს თავისუფლების პირობებში. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობისა და უშიშროებისათვის“, – იტყობინება შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესსამსახური.

ბუში შჩარანსკის მედალს საზეიმოდ გადასცემს 15 დეკემბერს, თეთრ სახლში დაგეგმილი ცერემონიის დროს.

ნათან (ანატოლიძ შჩარანსკი იყო ცნობილი საბჭოთა სამართალდამცველი და დისიდენტი. თავის დროზე საბჭოთა რეჟიმმა მას არ დართო ისრაელში ემიგრირების ნება. შჩარანსკიმ 9 წელი დაჰყო საბჭოთა ზანაკებში და სსრ კავშირის დატოვება შეძლო მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1986 წელს იგი გაცვალეს დასავლეთში დაკავებულ ორ საბჭოთა მზვერავზე.

პირველი ასეთი მედლით შჩარანსკი 1988 წელს დააჯილდოვა შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა. 1986 წელს კი შჩარანსკის გადაეცა შეერთებული შტატების კონგრესის ოქროს მედალი.

№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.



# შეერთებულ შტატებში წარუმატებლად დასრულდა სარაკეტო თავდაცვის სისტემის გამოცდა

**ტექნიკური პრობლემების გამო Erie კრეისერის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეეჩერებინა საზღვაო ბაზირების სარაკეტო თავდაცვის სისტემის გამოცდა.**

გამოცდის დროს, რომელიც ხუთშაბათს განხორციელდა, პირველი პირობითად მტრული საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტა გაუშვეს წყნარი ოკეანის კაუაის კუნძულზე მდებარე პოლიგონიდან. მან მოახდინა ამერიკის ტერიტორიისთვის სარაკეტო დარტყმის მიყენების მოდელირება. ამის პარალელურად, საშუალო სიშორის რაკეტა გაუშვეს შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავიდან, რომლის სამიზნე იყო The Lake Erie ხომალდი.

კრეისერიდან ერთდროულად უნდა აეღო სტარტი Standara-3 ტიპის ორ გადამტაც-რაკეტას. მაგრამ, სისტემის კონფიგურაციაში დარღვევის გამო, პირველი რაკეტის გაშვება ვერ მოხდა. ხოლო რადგან გამოცდის მთავარი მიზანი იყო ერთდროულად ორი გადამტაცი-რაკეტის გამოცდა, მეორე რაკეტის გაშვებისგან თავი შეიკავეს. ორივე პირობითად მტრული ბალისტიკური რაკეტა ოკეანეში ჩავარდა.

ეს იყო მეორე წარუმატებელი გამოცდა ცხრა ანალოგიური ღონისძიებიდან, რომლებიც ერთობლივად განახორციელეს ამერიკის ფლოტმა და სარაკეტო თავდაცვის სააგენტომ.

მაგრამ, როგორც სააგენტოს მოხელეები იტყობინებიან, შეერთებული შტატების სარაკეტო თავდაცვის სისტემები, რომელთა დამონტაჟებაც უკვე დაიწყო ხომალდებზე, სავსებით ქმედუნარიანია. ორმაგი გაშვების მეორე გამოცდა მომავალი წლისთვის არის დაგეგმილი.



შეგახსენებთ, რომ სარაკეტო თავდაცვის პირველი წარუმატებელი გამოცდა განხორციელდა 2006 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში. შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა შეეწყვიტა სარაკეტო თავდაცვის სისტემათა გამოცდა მაშინ, როცა მოხდა შეფერხებები სამიზნე-რაკეტაში. სექტემბერში პრობლემა წარმოიქმნა ნიუ-მექსიკოს შტატის პოლიგონიდან ჭურვის გაშვებიდან მცირე ხნის შემდეგ. სამიზნე გაანადგურეს სტარტის აღებიდან ორ წუთში. თანაც ისე, რომ გადამტაცი-რაკეტა ჯერ არ იყო გაშვებული.

პირველი წარმატებული სრულმასშტაბიანი გამოცდები კი განხორციელდა 2006 წლის სექტემბრის დამდეგს. მაშინ ბალისტიკური რაკეტები გაუშვეს ალიასკის ბაზიდან წყნარი ოკეანის რაიონში. გადამტაცმა რაკეტებმა კი სტარტი აიღეს კალიფორნიიდან, სამხედრო-საჰაერო ძალების ვანდენბერგის ბაზიდან, და ფვიდწუთიანი ფრენის შემდეგ მათ გაანადგურეს საწვრთნელი-საბრძოლო სამიზნე.

შეგახსენებთ ასევე, რომ 2006 წლის ოქტომბერში შეერთებულ შტატებში გამოაცხადეს თვითმფრინავის საფრენოსნო გამოცდის მომზადების შესახებ, რომელზეც დამონტაჟებული იქნებოდა სარაკეტო თავდაცვის ლაზერული სისტემა.

საჰაერო ბაზირების ლაზერული სისტემის პირველი გამოცდები კი, რომლებიც ძალზე მიახლოებული იქნება საომარ სიტუაციასთან, 2008 წლისთვის არის დაგეგმილი.

# ნასრალა ლიბანელებს საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდებს

**„ჰესბოლას“ დაჯგუფების ლიდერი ჰასან ნასრალა ლიბანელებს მოუწოდებს გამართონ მასობრივი საპროტესტო გამოსვლები ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ფუად სინიორას კაბინეტის გადადგომის მოთხოვნით.**

ვიდეომიმართვაში ნასრალა აღნიშნავდა, რომ ლიბანს სჭირდება ახალი მთავრობა, რომელიც თავისუფალი იქნება დასავლეთის გავლენისგან.

ამასთან მან დასძინა, რომ მზად არის მოლაპარაკებისთვის და არ აპირებს ომს თანამემამულეებთან.

ნოემბერში „ჰესბოლას“ წარმომადგენლები, რომლებსაც მხარს უჭერენ ირანი და სირია, გამოვიდნენ მთავრობის შემადგენლობიდან.

ერთი კვირის განმავლობაში დაჯგუფების ათასობით მომხრე მართავდა საპროტესტო აქციებს ბეირუთის ცენტრში.

„ჰესბოლას“ ლიდერმა მკაცრად გააკრიტიკა ფუად სინიორა და განაცხადა, რომ იგი ხელს უშლიდა „ჰესბოლას“ საქმიანობას ისრაელთან კონფლიქტის დროს.

მან ასევე დაადანაშაულა სინიორას მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ისრაელთან საიდუმლო შეთქმულებაში, რომლის მიზანიც იყო „ჰესბოლას“ დამარცხება.

„ომის გაჩაღებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ ადამიანებს, და არა წინააღმდეგობის წევრებს“, – განაცხადა ჰასან ნასრალამ.

მისი გამოსვლა პირდაპირი ეთერით გადასცა ადგილობრივმა ტელევიზიამ.

თავის მხრივ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ფუად სინიორამ აღნიშნა, რომ ოპოზიცია, რომლის შემადგენლობაში ძირითადად მუსლიმანი-შიიტები და ქრისტიანები შედიან, უნდა მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას მთავრობის წევრებთან ერთად. „ლიბანელები უნდა გაერთიანდნენ. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენი დრო დასჭირდება ამას“, – თქვა სინიორამ.


**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის დირექცია აცხადებს კონკურსს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმ-სპეციალისტთა და მედდების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა წარმოადგინონ კლინიკის კადრების სამსახურში ა/წ 22 დეკემბრამდე.**

**განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:**

დიპლომის ასლი დედანთან ერთად;

ექიმებისათვის ნებადართული სპეციალობის სერტიფიკატის ასლი დედანთან ერთად;

2 ფოტოსურათი 3X4-ზე;

ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;

ავტობიოგრაფია;

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთების მიღება დღის 2 საათიდან 5 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

**მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №29, შპს ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა.**



**2006 წლის 29 დეკემბერს 13 საათზე ჩატარდება სს „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის პრ. №2.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ინვენტარიზაციის განხილვა;
2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ დავალიანების შესახებ;
3. სამეთვალყურეო საბჭოს სახელფასო განაკვეთების შემცირება;
4. სხვადასხვა.

გთხოვთ უზრუნველყოთ უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციაში.

**გენ. დირექტორი**
**ი. მექმარიაშვილი**

ეს არის განსხვავებული ფოლკლორი, თუმცა საოცრად მსგავსი ესპანურ ეთნოკულტურასთან. ეს ძალიან მდიდარი მუსიკაა, რომელიც აგებულია საინტერესო ფრაზებზე და ეს ფრაზები ჩვენთვის გაუგებრად არ ჟღერს

№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.

კონტაქტები

## საქმიანი შეხვედრა ფრანგ კოლეგებთან

**საქართველო-საფრანგეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა გამყარებას მიეძღვნა ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლის ინიციატორი გახლდათ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.**

ჩვენი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან სათათბიროდ ჩამობრძანდნენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი კომპანიების წარმომადგენლები, როგორებიც არიან „სიტროენი“, „ლეფარჟი“, „გაზ დე ფრანსი“, „ბნპ პარიბა“, „სოშიეტ ჟენერალი“ და კიდევ მრავალი სხვა.

ფრანგ ბიზნესმენთა ინტერესების სფერო საქართველოში მეტად საგულისხმოა. იგი მოიცავს, უწინარესად, საინვესტიციო, სამშენებლო, ენერგეტიკულ, საავტომობილო, გაზითა და წყლით მომარაგების, სამედიცინო, ასევე გარემოს დაცვის და მრავალ სხვა სფეროს.

სტუმრებს დიდი პატივით დახვდნენ თავყრილობის ორგანიზატორები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, მთლიანად ხელისუფლების „ეკონომიკური გუნდის“ წევრები.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ერთად გამართულ ფორუმს თავკაცობდა MEDEF-ის (საფრანგეთის საწარმოთა მოძრაობისძ საერთაშორისო კომისიისა და ცენტრალური აზიის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი მონსი.

**საკუთარი ინფორმაცია**

## სადაც სიყრმითვე გავზრდილვარ!

**თბილისის მერია ეროვნულ უმცირესობათა მოზარდების საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროექტს ახორციელებს.**

როგორც თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, თბილისის არაქართულენოვან სკოლებში ხორციელდება პროექტი – „სადაც სიყრმითვე გავზრდილვარ, ჩემი სამშობლო იქ არი“.

პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოზარდებისთვის მოქალაქეობრივი, ტოლერანტობისა და პატრიოტიზმის ამღალება, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისთვის ხელშეწყობა.

პროექტი თბილისის ათ სკოლაში ხორციელდება, სადაც ტარდება ქართველი და არაქართველი მწერლების ლიტერატურული საღამოები, რომელთა შემოქმედებაშიც ადგილი ეთმობა საქართველოს თემას. ბავშვებს აცნობენ იმ ისტორიულ წყაროებს, რომლებიც სხვადასხვა ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ ცნობებს შეიცავს. პროექტის ფარგლებში გაიმართება ექსკურსიები მცხეთაში.

## მთელი თბილისი გადაკეთდება?

**თბილისის მთავრობამ, გერმანიის ტექნიკური განვითარების საზოგადოებასთან ერთად, დედაქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაზე მუშაობა დაიწყო.**

სამუშაო შეხვედრა გუშინ სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ გაიმართა. მას თბილისის მერი გიგი უგულავა, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ვანო ნაკაიძე, ქალაქგეგმარებითი და სივრცითი მოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ მახათაძე და ურბანისტები ესწრებოდნენ.

თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, ამჟამად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას ჩაეყარა საფუძველი. გენგეგმა დედაქალაქის თითოეული უბნის განაშენიანების მიმართულებებს განსაზღვრავს.

გიგი უგულავა მიიჩნევს, რომ იმ უბნებში, სადაც გასართობი ცენტრები იქნება, საცხოვრებელი სახლები არ უნდა არსებობდეს, ისევე, როგორც სამრეწველო რაიონებში.

თბილისის მერის თქმით, სწორედ ეს იქნება ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი. დოკუმენტი მზად 6-8 თვის შემდეგ იქნება და მის გარშემო საჯარო დებატები გაიმართება.

## ორი თვე სიბნელეში...

**ოქროყანა-თბილისის ცენტრალური მაგისტრალი უკვე გახსნილია. მოსახლეობას, რომელმაც გზა ელექტროენერგიის მოთხოვნით გუშინ გადაკეტა, გზის გახსნა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აიძულეს, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა.**

საპატრულო პოლიციამ აქციის ერთი მონაწილე დააკავა.

ოქროყანის მოსახლეობას 2 თვეა ელექტროენერგია არ მიეწოდება. აქციის მონაწილეთა განცხადებით, „თელასი“ მათ 78 000 ლარის დავალიანების დაფარვას სთხოვს. ოქროყანელები ამბობენ, რომ ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებენ.

აქციის მონაწილეები გამრიცხველიანების მოწესრიგებასაც ითხოვენ, რადგან ოქროყანაში არ არსებობს ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

## კორპუსების გამაგრებაზე 22 მილიონი ლარი დაიხარჯა

**თბილისში 2005 წელს მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული მაღლივი კორპუსების შეკეთება კვლავ გრძელდება.**

მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის კობა სუბელიანის განცხადებით, დედაქალაქის ტერიტორიაზე 15 დაზიანებული მაღლივი კორპუსების გამაგრებასა და მეწყერდამჭერი კედლების მშენებლობაზე 22 მილიონი ლარი დაიხარჯა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

კონცერტის შემდეგ

# აი, მასე კი კაია, მარა...

**„შინი“ შინ არის ჩამოსული... „Egari“ ნაღდად ეგარი... „Egari“ ეს არის ნამდვილი მუსიკა... „შინის“ ახალი მუსიკა, რომელსაც ხედავ და აქვს სული. „შინმა“ „ეგარი“ შინ ჩამოიტანა... გერმანიიდან საქართველოში... ამ ეთნოპროექტის პრეზენტაცია შედგა რუსთაველის თეატრში.**

„ეგარი“ ეს არის ნოვაციური ექსპერიმენტი ფოლკლორისა და ჯაზის ტრადიციული ფორმების მიღმა, მუსიკის ძიება და მასში ნაპოვნი ახალი მუსიკალური მიმართულება – იბერო-კავკასიური სტილი.

ჩონგური, ფანდური, დუდუკი, კავალი, ჭიბონი, ჭუნირი, გიტარა, ბას-გიტარა და პერკუსია „შინის“ ინსტრუმენტალურ პერფორმანსს ქმნის... ხალხური საკრავების შოუში გამართული დიალოგი ვირტუოზულ შეჯიბრში გადადის... არსებულ პოლიფონიაში, პოლირითმიკასა და იმპროვიზაციაში კომპოზიციის ფორმა და წყობა საოცარ ინტონაციასა და ჟღერადობას განიცდის... აქ ხალხურ ქსოვილში ნაქერწი ვოკალი თუნდაც, ემოციური შეძახილი სულ სხვა ძალითა და რაღაც ამოუხსნელი ხიბლით არის გამორჩეული... პოეზია? – „შინის“ პოეზია ესეც განსხვავებული, თუმცა თანაზიარი შემოქმედებაა პოლიფონიზმთან, ინსტრუმენტალიზმთან და ხალხურიზმთან. ეთნოკულტურულ სინთეზში ჩართულია ქართული ცეკვის არქეტიპი, რომელიც სიმბოლური გააზრებაა ქართული ხასიათის ილუსტრაციის...



„შინი“ ეს ზაზა მიმინოშვილი (გიტარაძ, ზურა გაგნიძე (ბას-გიტარა, ვოკალიძ და მამუკა ღაღანიძეა (ვოკალი, პერკუსიაძ... არაჩვეულებრივი მუსიკოსების ჯგუფი, რომელიც გერმანიაში 1998 წელს შეიქმნა და სულ გზაშია... „შინ“, ანუ სახელწოდებაც გზაში მყოფობის სიმბოლური თავშესაფრითა და შინდაბრუნების ნოსტალგიით არის ნაკარნახევი... უცხო მიწაზე მათი სულიერი საყრდენი ხალხური მუსიკაა და... სამშობლოს მსახურობის მოვალეობა. ახალი პროექტის შექმნაც მათი დიდი ხნის ჩანაფიქრია – ეთნომუსიკალური მოგზაურობა დროის განზომილებაში, სადაც არ არსებობს ზღვარი, თუმცა არსებობს ფოლკექსპერიმენტი... ანუ პროექტი „ეგარი“ ტრადიციული ფოლკლორის რიმეიკის საინტერესო ვერსიაა, რომლის გასაცოცხლებლად ჯგუფმა ერთ სცენაზე შეკრიბა ინტერნაციონალური საკრავები და ვირტუოზი ინსტრუმენტალისტები. „შინის“ შემადგენლობას ანსამბლი „გეორგიკა“ დაემატა – დავით შანიძე (ვოკალიძ, ალექსანდრე ხიზანიშვილი (ჩონგური, დუდუკი, კავალი. ჭიბონი, ჭუნირიძ, ხვიჩა ხვთისიაშვილი (ფანდური, დუდუკიძ და ზვიად თოთიაური (დუდუკიძ. პროექტში ქორეოგრაფიულ არქეტიპს ქმნის დავით სხირტლაძე მსუბუქი პლასტიკითა და სახასიათო მანერაში გაზავებული იუმორით. ქართველებთან ერთად სცენაზე უკრავდა ხორხე პარდო (ფლეიტა, საქსაფონიძ – პაკო დე ლუსიას და ჩიკ კორეას ლეგენდარული „Touchstone“ ბენდის წევრი. ესპანელი მუსიკოსი, რომელსაც ქართული ფოლკმუსიკის გენეტიკური კოდი და არქიტექტონიკა ახსენებს ფლამენკოს ტემპერამენტულ ინტონაციებს, რიტმს...

„შინის“ კომპოზიციები ძველი ფოლკმუსიკალური თემების თანამედროვე არანჟირებით არის შეფერილი, რომლის კონტექსტშიც ყველა ინსტრუმენტია ჩართული და ისმის მრავალხმიანი ხმაშეწყობილი მოძახილი – ადილო, ვადილო, დილაოდილავდა ჰარალოო ივლიალაო... ადილო, ვადილო, აბადილოდელო ვადილო ივლიალაო... გურული ფოლკლორის მერე „აჭარულში“ ტემპის დინამიკა საოცარ კულმინაციას აღწევს, ინსტრუმენტული მელოდია და ვოკალი ლამაზი მელიზმებით ჟღერს, ხალხური ლაიტმოტივები იმპროვიზაციულ თამაშს ემსგავსება მუსიკოსების სიმღერაში – წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა ალვის ხის ჩამონათალი... გოგოვ, გოგოვ კისკისა, აქ ჩამოდი წყლის პირსა... მერე ჩონგურისა და სოლო გიტარის შეჯიბრია, ამ ჰარმონიაში მეტამორფოზულად ჩნდება სახალისო ტექსტი – სარეეეეეეე, სარესარესა, რესარგარე სარესარესა... მამუკა პაპა, ზაზა პაპა, ზურა პაპა... ჩუმათ, ჩუმათ, არვინ გაგვიგოს... აჭარულ რითმიკაში სოლოდ ერთვება ჭიბონი, ფანდური, გიტარა და... ცეკვა აჭარულის ილეთები... აქ დავით სხირტლაძე ხასიათში ხლართავს სხეულის მოძრაობას... „ხორუმის“ ინსტრუმენტულ კონსტრუქციაში მრავალი თემები იწყებს გასაუბრებას, მერე გიტარისა და ვიკალის ტემპერამენტი შემოდის და ეს ინტონაცია საოცრად ლამაზი სვლით გადადის მრავალჟამიერის მრავალხმიანობაში. ხალხური თემების არაორდინალური გააზრებაა ხორხე პარდოს ფლეიტისა და სოლო გიტარის ჰარმონიაში, მერე ერთვება ფანდური ხევსურული კოლორიტით, სოლო პერკუსიას ეკუთვნის და ამ კომპოზიციის ფინალია არქაული გამონათქვამი – „აი მასე კი კაია, მარა...“ საოცარია, მაგრამ ამ რითმიკაში და ამ სიტყვიერებაში ამოიცნობ იმ თანადგომას და ადამიანების იმ ხმაშეწყობილ ურთიერთობას, რაც წარსული სივრციდან მოდის და დღესაც ასე ეთაყვანება ჩვენი დროება. ალბათ ამ გენეტიკის ბრალია ის, რომ „შინის“ ყოველ ეთნოოპუსებს ასეთი ოვაციებით ხვდებიან ყველგან და... განსაკუთრებით შინ ქართველები. „შინის“ მუსიკა ეს ახალი სამყაროა ფოლკლორში, რომელიც მოდის გულიდან და გატარებულია გრძნობებში... აქ არც ერთი ნოტი არ არის ყალბი, შემთხვევითი ან გაუაზრებლად გაჩენილი...

– თითეულ სიმღერას, რომელიც საუკუნეებით მოდის, მას სიცოცხლე სჭირდება, ის არ არის სამუზეუმო ექსპონატი რომ ჩავკეტოთ და დარჩეს ხელუხლებლად... – ამბობს მუსიკოსი ზაზა მიმინოშვილი, – „წინ წყაროს“, „ურმულის„, „ლილეს“ საოცარი ჩანაწერები გვაქვს შემონახული, მათი სიცოცხლე ხომ უნდა გაგრძელდეს არა?!... „ხორუმის“ რიტმი, „ზილგას“ 8 ტაქტი და ცალკე მის წინ 14 ტაქტიანი მარგალიტი, ეს შესანიშნავი თემაა, ნუთუ მათ არ დაიმსახურეს ის, რომ ყოფილიყვნენ ცალკე დამოუკიდებელი ნაწარმოები?! მე მომაჯადოვა მუსიკის ამ ძალამ, მისმა ენერგიამ... მარტო ჩვენ ამას ვერ გავწვდებით... ფოლკლორში დრო არ არის ზღუდე... ეს პროექტი ჩემში დაიწყო მაშინ, როცა მივხვდი, რა უნდა მომხდარიყო და რა უნდა გაგვეკეთებინა მუსიკის ამ სამყაროში. იცით რა, ქართული მუსიკალური კულტურის წარმოდგენისას ყოველთვის მაკლდა ის საოცარი სინთეზი, რასაც ვხედავდი სხვა მუსიკალურ კულტურებში თუნდაც ფლამენკოში, ამიტომ არ არის შემთხვევითი ჩვენი ურთიერთობა ხორხე პარდოსთან ფლამენკოს დიდოსტატთან, როცა ნაციონალური კულტურა, ფესვი ერთიანდება დღევანდელ ჰანგთან, დღევანდელ რითმთან, ხდება საოცარი სინთეზი და ამით იქმნება რაღაც ახალი სრულიად. ხალხურ მუსიკაში უმეტესად არის კომპილაციური წყობა, ფანტასტიური მარგალიტებია ერთმანეთთან მიწებებული და საბოლოოდ მიღებულია მონსტრი. ეს არის ფორმის გაუცნობიერებული მიწებება როცა ერთი მეორეს ტონალობით და რიტმულად ჩამოგავს. ჩვენთან ასე არ მოხდა... კომპოზიციის სიცოცხლისთვის ტრადიცია უნდა შენარჩუნდეს აუცილებლად, მერე მთავარია მშვენიერება. კომპოზიცია უნდა იყოს მთლიანი და იქ რა კონპონენტებს ავიღებთ და დავაკავშირებთ, ამისთვის შინაგანი მუსიკალური მზაობაა საჭირო, გამოცდილება და... გემოვნება.

– მათი მუსიკა, – ამბობს ხორხე პარდო, – ჩემთვის ძალიან ახლობელი აღმოჩნდა. უცნაურია, ეს არის განსხვავებული ფოლკლორი, თუმცა საოცრად მსგავსი ესპანურ ეთნოკულტურასთან. ეს ძალიან მდიდარი მუსიკაა, რომელიც აგებულია საინტერესო ფრაზებზე და ეს ფრაზები ჩვენთვის გაუგებრად არ ჟღერს. აი, მაგალითად, ეგარი იგივეა ჩვენთვის როგორც ოლე... ეს ზუსტად და გულწრფელად ნათქვამი სიტყვა თავად გამოხატავს ამ პროექტის არსს. „ეგარი“ ლამაზი სინთეზია აღმოსავლური და დასავლური ეთნოკულტურების, სადაც ჟღერს ფლამენკოს ელემენტები, ორიენტალური მუსიკა, ჯაზური იმპროვიზაცია და ქართული მუსიკა როგორც ერთი მთლიანი. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა, რომელიც ახალ, საინტერესო ექსპერიმენტებს ჩაგვატარებინებს მომავალში...

... რუსთაველის თეატრში ემიგრანტ მუსიკოსებს ძალიან თბილად შეხვდნენ ქართველები... იყო ოვაციები, ემოციები და გასაოცარი სიტყვები.

... დარბაზში ემოციები მინელდა, ჩაცხრა და, იქაურობა დაცარიელდა... გზაში მყოფობის სიმბოლურ თავშესაფარშიც კი საბოლოოდ ყველა გზა შინისკენ მიემართება.



**მზეხა მახარაძე**

- 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკაში უნდა გაიმართოს. მისი ფინალური ტურნირის მასპინძელი ქვეყანა გამოცხადდება 2007 წლის ნოემბერში
- ტურნირზე მოხდა ის, რაც ქართულ სულისკვეთებას სჩვევია: ბიცეპსით აწევაში ჯერ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მერე მეორე. თვითონ 58 კილოგრამია, 62 კი ასწია. ასეთი რამ დღემდე არ მომხდარა

**კენჭისყრა**

## მეტოქენი ასე დაწყვილდნენ



**გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში მოეწყო დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:**

„ბორჯომი“-„ზესტაფონი“, „ამერი“-„დინამო“, „ბათუმი“-„ტორპედო“, „ჩიხურა“-„სიონი“.

ამ ეტაპის მატჩები გაისად 18 თებერვალსა და 6 მარტს გაიმართება.

**თაობა**

## მსაჯსაც ვაჯობეთ



**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი — ჯაინც ტოპმიულერი) წარმატებით დაასრულა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდისთვის სამზადისის პირველი ეტაპი — ჭაბუკმა „ჯვაროსნებმა“ მალტაზე გამართული მეორე სპარინგ-შეხვედრაც მოუგეს კუნძულელ თანატოლებს — 2:0 (გოლები მასპინძელთა კარში გოცირიძემ და წინამძღვრიშვილმა გაიტანეს).**

აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის 29-ე წუთზე ადგილობრივმა მსაჯმა, სრულიად უსაფუძვლოდ, მინდვრიდან ბენაშვილი გააძევა, თუმცა სტუმართა უპირატესობა ამის შემდეგაც საგრძნობი გახლდათ.

ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რ. კვასხვაძე, ბუალავა (დაუშვილი), მჭედლიშვილი, გოცირიძე, წინამძღვრიშვილი, მჭედლიძე (ნ. კვასხვაძე), გვაძაბია, ყენია, თარგამაძე (ელზაქიძე), ბენაშვილი, თოთაძე.

**სურათზე: წინამძღვრიშვილი ავტოგრაფებსაც არიგებდა.**

**ფეხბურთი**

## ფიფამ დაამტკიცა

**ფიფას აღმასკომმა, რომლის სხდომა ციურიხში გაიმართა, განსაზღვრა, რომ ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი გაიმართება 2010 წლის 11 ივნისიდან 11 ივლისამდე.** პლანეტის ამ პირველობაში მონაწილეობისთვის, ის კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება, ევროპას გამოეყო 13 ადგილი, აფრიკას — 6 (ჩემპიონატის მასპინძლის ჩათვლით), აზიასა და ოკეანიას — 5 (4,5-0,5 — ერთი ადგილი გათამაშდება ამ კონფედერაციათა გუნდებს შორის), სამხრეთ ამერიკისა და კონკაკაფს — 8 (4,5-3,5 — ერთი ადგილი გადათამაშდება ამ კონფედერაციათა გუნდებს შორის).

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკაში უნდა გაიმართოს. მისი ფინალური ტურნირის მასპინძელი ქვეყანა გამოცხადდება 2007 წლის ნოემბერში.

აღმასკომმა აგრეთვე გადაწყვიტა, რომ გიბლარტარი, საწესდებო მოთხოვნათა შესაბამისად, ვერ გახდება ფიფას წევრი.

გამოცხადდა, რომ თამაშის წესების საერთაშორისო საბჭოს (იფაბ) შემდგომი სხდომა გაიმართება მანჩესტერში 2007 წლის 3 მარტს.

**კალათბურთი**

## ჩვენებურების მონაგარი



**ამ დღეებში ქართველმა ლეგიონერებმა კიდევ ერთხელ იყოჩაღეს, თუმცა მათ გარჯას ამჯერად სასურველი შედეგი არ მოუტანია.**

ევროლიგაში მოასპარეზე ლიუბლიანის „ოლიმპია“ შინ ესპანურ „ხუვენტუდთან“ დამარცხდა — 67:69. მანუჩარ მარკოიშვილი სლოვენიელებს 12 ქულით, 4 ჩაჭრით, 2 პასითა და 1 მოხსნით შეეწია.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახლავთ ტარტუს „როკის“ გამთამაშებლის გიორგი ცინცაძის პირადი მონაგარი — დასანანია, რომ მისი 17 ქულის, 7 მოხსნისა და 4 პასის (საუკეთესო მაჩვენებელი პარტნიორთა შორის) მიუხედავად, ესტონურმა კლუბმა ფიბას „ევროქაფ ჩელენჯზე“ რუსეთში ცსკ ვვს-თან წააგო — 74-81.

რაც შეეხება დისკვალიფიცირებულ ზაზა ფაჩულიას, მის არყოფნაში „ატლანტამ“ ნბა-ს მორიგი მატჩი სტუმრად „დენვერს“ მოუგო — 98-96. ქართველი ცენტრი სარბიელს დღეს „ლეიკერსთან“ შეხვედრაში დაუბრუნდება.

**ჩოგბურთი**

## იგებენ და იგებენ

**გამარჯვებით დაიწყო ჩეხეთის ქალაქ ოპავას კორტებზე გამოსვლა ლადო ჩიხლაძემ — საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა 15-ათას დოლარიანი საპრიზო ფონდის ტურნირის სტარტზე შვეიცარიელ ალექსანდრე სადეცკის მოუგო — 6:3, 6:3 და მეორე წრეში ავსტრიელ კრისტიან მაგს შეხვდება, რომელიც იქ მეხუთე ნომრადაა განთესილი.**



კიდევ უფრო შორს წავიდა 16 წლის ოქსანა კალაშნიკოვა, რომელიც ფლორიდის შტატის ქალაქ კი — ბისკეინში იუნიორთა შორის ყველაზე პრესტიჟულ „ორანჟ ბოულის“ გათამაშებაში მონაწილეობს. თბილისელმა გოგონამ მეორე ეტაპზე ამერიკელ ეიჟა მუჰამედს სძლია — 7:6 (7:5) 7:6 (7:5) და მერვედფინალში ხორვატ პეტრამარტიჩს გაუწევს მეტოქეობას.

**სურათზე: ასე უტევს ლადო ჩიხლაძე.**

**ორბიტაზე**

## ცხენმა იმსხვერპლა

**ტრაგიკული ინციდენტი მოხდა XV აზიურ თამაშებზე. ცხენოსნობის ასპარეზობის დროს დაიღუპა სამხრეთ კორეის ნაკრების წევრი კიმ იუნ ჩილი.** როგორც შეჯიბრების ორგანიზატორები იუწყებიან, კორეელი მხედარი დაიღუპა დაბრკოლებათა გადალახვის დროს. წვიმდა, ცხენს, სახელად ბუნდამბერგ ბლეკს, სველ საფარზე ფეხი გაუცურდა, წაიქცა და მხედარი ქვეშ მოიყოლა. სამედიცინო დახმარება დაგვიანებული აღმოჩნდა. სპორტსმენი პრაქტიკულად მაშინვე გარდაიცვალა. ინციდენტის შემდეგ შეჯიბრებები შეწყდა.



## ერთი აკვრით გაიმარჯვა

**კატარის დედაქალაქ დოჰაში გრძელდება აზიური თამაშები. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ძალოსანთა ასპარეზობა. როგორც უკვე გაცნობეთ, იქ მრავალი რეკორდი დამყარდა.** აღსანიშნავია ჩინელი ქალი ათლეტების დიდი წარმატება. მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 75 კილოგრამზე ზევით კატეგორიაში მოასპარეზე მუ შან ტუანმა 317 კგ. (139 მსოფლიო რეკორდი), 178 კგ.

მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ირანელმა ჰუსეინ რეზა ზადემ. მან პირველსავე მისვლაზე 230 კგ აჰკრა, გამარჯვება გაინაღდა და დანარჩენ ცდებზე უარი თქვა.

## მშვენიერ წყვილად მიიჩნევენ

**ცხოვრებაში ნამდვილად გაუმართლა მენხენგლადბახის „ბორუსიის“ მცველს მარსელ იანსენს. ის გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს და ქვეყნის ნაკრებშიც მიიწვიეს. ესეც არ „იკმარა“ და გულისვარდად გერმანიის ერთ-ერთი ულამაზესი მოდელი, „მიუნხენ-2005-ის ლამაზმანი“ ჯულია გიოდიკე აირჩია.**

ახლა მათ ერთ-ერთ უმშვენიერეს წყვილად მიიჩნევენ.

„ჩვენ ყველას ძალიან გვახარებს მარსელის არჩევანი, — თქვა იანსენის თანაგუნდელმა, — მშვენიერი წყვილია“.

ჯულიას ინტერესები სამოდელო ბიზნესით როდი ამოიწურება. ამჟამად ქალიშვილი სპორტულ მენეჯმენტს სწავლობს, ასევე სტაჟირებას გადის BMW-ს ქარხანაში.



**ჩემპიონი**

# გეყოფა, მეტს ნუ იზამო...

**ექვსი მილიარდი ადამიანით დასახლებული ჩვენი პლანეტის ერთი პატარა ქვეყნის სოფელში სამგზის მსოფლიო ჩემპიონთან ერთად სუფრასთან რომ აღმოჩნდები, განა შეიძლება შენი სამშობლოთი, შენი მამულიშვილების რაინდობით არ გაამაყდე?**



ჰოდა, მეც ამ მადლიანი მიწის ნაჟურით სავსე თასს ვიღებ და...

სამგზის მსოფლიო ჩემპიონიო, რომ იტყვიან, უცებ გოლიათს წარმოიდგენ. არადა, ზაურ ჯავახიშვილი ერთი ქიზიყელი ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ქვეყნის თვალისჩინი, რომელიც ნუკრიანში ელგუჯა ჯავახიშვილის უზრალო ოჯახში აღიზარდა.

პირველად მსოფლიო ჩემპიონი ერთი წლის წინათ საფრანგეთში გახდა. ამის შესახებ ჩვენც ვწერდით. აწევაში მას ბადალი ვერ გამოუჩნდა. იქვე პირველი რეკორდიც დაამყარა.

და აი, წელს მისმა მწვრთნელმა, ამაგდარმა ადამიანმა შოთა ბეჟაშვილმა განუცხადა, ამერიკაში კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონატი იმართება სამჭიდში და უნდა წახვიდეო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ დააფინანსა ათლეტთა ჯგუფი და ზაურიც სამზადისში ჩაერთო. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ვარჯიშისას მხარი დაიზიანა. ბედისწერას მაინც არ შეეპუა, წავიდა და...

ტურნირზე მოხდა ის, რაც ქართულ სულისკვეთებას სჩვევია: ბიცეპსით აწევაში ჯერ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მერე მეორე. თვითონ 58 კილოგრამია, 62 კი ასწია. ასეთი რამ დღემდე არ მომხდარა. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. ბიჭმა გაიწია, ძალიც შესწევდა ძადილისა. მოითხოვა, კიდევ ერთხელ გაეუმჯობესებინა თავისი რეკორდი და ტურნირის ორგანიზატორები შეშფოთდნენ, რას შვრები, მერე ვინ შეეცდება ამ რეკორდის მოხსნასო. აღარ დაანებეს, თორემ...

ეს მოხდა 27 ოქტომბერს. ეს თარიღი მართლაც მნიშვნელოვანია ზაურ ჯავახიშვილისთვის.

— ალბათ ღირსეულადაც დაგაჯილდოვეს, ფულადი თანხაც დიდი იქნებოდა... — დავეკითხე გახარებული, ეგებ ფინანსურადაც წელში გაიმართა და ეგაა-თქო.

მხოლოდ პრიზი მიუღია. სოფელში მამის მიერ გატნეული ლარებით დაბრუნებულა ეს ჩემმა ცნობისმოყვარე შეკითხვამ წამოაცდენინა, თორემ წუწუნი არ უყვარს. არადა, მამაც უმუშევარია, დედაც. თან ოჯახს კიდევ ერთი ვაჟკაცი ეზრდება, ისიც სპორტს დამოკიდებული.

ასეა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნუკრიანელთა ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობს, სავარჯიშოდ სიღნაღში დადის. ზოგჯერ, გზის ფული რომ არ აღმოაჩნდება, ფეხითაც გაუტევს. რაც მთავარია, მომავლის რწმენა და იმედი აქვს. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ისევ ქიზიყური შემართებით შეუტევს, სახელს მოუხვეჭს თავის ხალხს, სამშობლოს. მანამ იქნებ ვინმე მადლიანი სპონსორიც გამოუჩნდეს ან იქნებ სამუშაო შესთავაზონ. რაც მთავარია, მსოფლიო ჩემპიონობას, ისიც ახალი რეკორდით, კვლავ რომ მოიპოვებს, ამაში ეჭვი არავის ეპარება. თანაც ისე, რომ ორგანიზატორებს ახვეწნინებს, გეყოფა, მეტი აღარ გინდაო! ქვეყანას, რომელსაც ასეთი ვაჟკაცები ჰყავს, მტერი ვერ დააჩოქებს.

**გივი ჯახუა**

**სურათზე: ქართველთა მორიგი ტრიუმფი: მარცხნიდან პირველი — ზაურ ჯავახიშვილი.**

№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.

# საგანძური

2010 წელს აკაკის დაბადებიდან 170 წელი სრულდება, ამ თარილისთვის მზადება ალბათ ახლავე გვმართებს. მისი ტომეულები მართლაც კარგი საიუბილეო საჩუქარი იქნება



## მეცნიერის ღვაწლი

# ილიას მოჰყვა აკაკი...

**მკითხველმა საზოგადოებრიობამ ახლახან ერთმანეთის მიყოლებით მიიღო შესანიშნავი წიგნები, რომელთა ავტორი გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ შარაძე. 50-ზე მეტი წიგნისა და მონოგრაფიის შემქმნელმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მკითხველს მრავალწლიანი დიდი შრომის ნაყოფი — მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ორი ტომი — „აკაკი წერეთელი“ და „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ შესთავაზა.**

**ამ ნაშრომებით ავტორი განაგრძობს მრავალტომეულის — „ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი“ გამოცემას, რომლის I და II ტომი მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. აკაკი წერეთლის ხსენებული ტომები ნაწილია იმ ხუთტომეულისა, რომლის გამოცემაც ჩაფიქრებული აქვს გურამ შარაძეს სახალხო მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.**

**ათვალიერებ გამოცემულ წიგნებს და განცვიფრებს, რა ზღვა წერილობით თუ ფოტოდოკუმენტურ მასალას შეიცავს იგი. საკმაოდ დიდი ფორმატის წიგნები 500-ზე და 300-ზე მეტ გვერდიანია და სავსებით ბუნებრივად გიჩნდება ინტერესი — სად და როგორ მოიძია ავტორმა ასეთი სიმდიდრე?**

— აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ვმუშაობდი, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის, კერძოდ, პეტერბურგის, მოსკოვის, ბუდაპეშტის, მიუნხენის, პარიზი-ლევილის, ლონდონის, ოქსფორდის, ჰარვარდის სახელმწიფო მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში, აგრეთვე ბევრ კერძო კოლექციასა თუ საოჯახო არქივებში, მეტადრე ქართველი ემიგრანტების ოჯახებში პარიზში, მიუნხენში, ლონდონში, დანვერში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ბოსტონში, სან-ფრანცისკოში, მადრიდში, იერუსალიმში...

**— კერძოდ, რომელ ემიგრანტებს დაასახელებდით...**

— დიდი ამაგი დამდეს ლიდა და გიორგი ნოზაძეებმა, ოთარ და გივი ზალდასტანიშვილებმა, შოთა სალირაშვილმა, გივი კობახიძემ, ალექსანდრე მანველიშვილმა, ალექსანდრე სულხანიშვილმა, თამარ ალშიბაია-პატარიძემ, ოთარ პატარიძემ, თინა და კარლო ინასარიძეებმა, გაიოზ მაღლაკელიძემ, მამია ბერიშვილმა, ილია კუჭუხიძემ, სოსო ჟორჟოლიანმა, ნინო ვაჩნაძემ...

მე ვერ შევძლებდი აკაკის ხანგრძლივი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველი ზღვა ხელნაწერი მასალების, ავტოგრაფების, პირადი ნივთების, ფოტო და იკონოგრაფიული დოკუმენტების გაცნობას, შესწავლა-დამუშავებასა და გადაღებას, თუ არა ის გულისხმიერი დამოკიდებულება და დახმარება საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმების, სახელმწიფო კინო-ფოტო-ფონო არქივის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმის, აკაკი წერეთლის სახელობის სახლ-მუზეუმის, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ოზურგეთის სახელმწიფო მუზეუმების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისა, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებ...



*მრავალტომეულის პირველი ტომი „აკაკი წერეთელი“ შეიცავს აკაკი წერეთლის ცხოვრებას, მოღვაწეობას და შემოქმედებას დაბადებიდან — 1840 წლიდან 1867 წლამდე, ვიდრე მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნებამდე: აკაკის ბავშვობას, გვარის გენეალოგიას, მის ლიტერატურულ დებიუტს და ურთიერთობას ივანე კერესელიძესთან. ავტორი გვიამბობს აკაკის პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის შესახებ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, იქაურ სულისკვეთებაზე, პროფესორ-მასწავლებლებზე, რომელთა შესახებაც დღემდე არათუ დაწვრილებითი, არამედ მიახლოებითი ცნობებიც კი არ მოგვეპოვებოდა, დისერტაციაზე, სტუდენტობაში მის შემოქმედებით მოღვაწეობაზე, შემდგომ კი მოსკოვში დაბრუნებას და დაცოლშვილებას. რა მოტივების სჭარბობდა აკაკის იმდროინდელ პოეზიაში და რა ბედი ეწია საბოლოოდ მის ოჯახს.*

*ტომეულებში გამოქვეყნებულ გამოკვლევებში მკითხველი ზედმიწევნით განხილულ ბევრ ისეთ მასალას გაეცნობა, რომელიც აკაკისმცოდნეობაში აქამდე არ იყო ცნობილი. ამას გარდა ცოცხლდება მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მთელი საქართველო. ყველაფერ ამაზე ავტორი კარგი ქართულით მომხიბლავად გვიამბობს, რაც წიგნის ღირსებაა, თანაც ყოველივე მონათხრობი ილუსტრირებულია ფოტოებით, რომელთა შორის ბევრი პირველად ქვეყნდება. წიგნების მხატვრობა ეკუთვნის ოლღა გორალევიჩს.*

*მეორე ტომს, რომელშიც განხილული იქნება აკაკის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება 1867 წლიდან გარდაცვალებამდე, მალე მიიღებს მკითხველი, მას ემატება დამატებითი სამი ტომი, ახლახან გამოცემული „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ სწორედ ერთ-ერთი დამატებითი ტომია ამ სამთაგან.*

*ორი წიგნი უკვე წარედგინა მკითხველს, დანარჩენ სამს კი თანამიმდევრულად მიიღებს.*

**— ილიას ორი ტომი მიეძღვნა, აკაკის ხუთი ეძღვნება, რატომ?**

— ფაქტობრივად, როგორც ილიას, ასევე აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებას ორ-ორი ტომი ეძღვნება, მაგრამ ის, რაც არ მომხდარა ილიას ცხოვრებაში, მოხდა აკაკის სინამდვილეში, რასაც დამატებითი ტომების გამოცემა დასჭირდა. მაგალითად, აკაკის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე მარტო საქართველოში კი არა, ლამის მსოფლიო იუბილედ იქცა. როცა ილია ჭავჭავაძისთვის 1895 წელს იუბილეს აღნიშვნა დაუპირებიათ, მაშინ მას უთქვამს: როცა აგერ „სამშობლო ხევსურისას“ ავტორი რაფიელ ერისთავი გვყავს, რა დროს ჩემი იუბილეაო. ამ საბაბით თავი აურიდებია იუბილესთვის. ილიას და აკაკის თაოსნობით რაფიელ ერისთავის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი ფართოდ აღნიშნულა და ეს იყო პირველი ეროვნული პოეტის ჭეშმარიტად ეროვნული იუბილე.

ილიას მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ საქართველომ ამ საზარელი დანაშაულის გამოსყიდვა სცადა და აკაკის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავი აღნიშნა, რაც საყოველთაო ზეიმად იქცა. მას არა მარტო საქართველოს ყველა კუთხე შეეხმიანა, არამედ სხვა ქვეყნებიც — სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, რომი, პარიზი, სტამბოლი, ბრიუსელი... ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე, არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა მსგავსი ფაქტი, როცა მწერლის იუბილე ასე სახალხო დღესასწაულად იქცა. აი ამ მასალებს დასჭირდა დამატებით ერთი ტომი, შემდეგი დამატებითი ტომი, მოგეხსენებათ, რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის მასალებია, რაც აკაკის იუბილის ერთ-ერთი დიდი ეპიზოდია, ესეც უნიკალური შემთხვევა იყო და მის ამსახველ მასალებს ერთი ტომი დაეთმო. საბოლოოდ მეხუთე ტომი აკაკის „სიკვდილსა და დასაფლავებას“ მიეძღვნა. ამ პროცესზე იმდროინდელ პრესაში დაწვრილებით გამოქვეყნდა მასალები და საგანგებო კრებულიც მზადდებოდა, რაც მაშინ ვერა, მაგრამ დღეს აღსრულდა.

საგულისხმოა, რომ 2010 წელს აკაკის დაბადებიდან 170 წელი სრულდება, ამ თარილისთვის მზადება ალბათ ახლავე გვმართებს. მისი ტომეულები მართლაც კარგი საიუბილეო საჩუქარი იქნება, მაგრამ მანამდე, 2007 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 წლისთავი სრულდება, მას მეორე ფაქტიც ემთხვევა — წიწამურის ტრაგედიის 100 წელი. საამისოდ ვამზადებ ახალ გადამუშავებულ გამოცემას, დამატებით კრებულს ილიას სიკვდილსა და დასაფლავებაზე.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ...**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**P. S. ორიოდე დღის წინათ პოლიტიკური მოძრაობის „XXI საუკუნე — ენა, მამული, სარწმუნოება“ და საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის თაოსნობით ეროვნული ბიბლიოთეკისავე საგამოფენო დარბაზში ჩვენს ღირსეულ ინტელექტუალურ საზოგადებას წარედგინა კიდეც გურამ შარაძის აღნიშნული ახალი ნაშრომები, რომლებიც უდავოდ დიდი შეფასება მისცეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა, ლიტერატორებმა, ხელოვანებმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.**

## ელამი სარკე

# დეპუტატს დაასლოკინა

**ერთ ჩვენთვის კარგად ნაცნობ მაჟორიტარ დეპუტატს, რომელსაც პარლამენტის სხდომაზე ჩაეყვინთა, მოულოდნელად სლოკინი აუვარდა.**

— უხერხულია, თავი შეიკავე, — გადაულაპარაკა გვერდით მჯდომმა ნაციონალმა.

— რა ჩემი ბრალია, შეკვეთა კი არ მიმიცია, — სცადა თავის მართლება მაჟორიტარმა.

— მაშინ დარბაზიდან მაინც გადი, სირცხვილია.

— არსადაც არ გავალ, ჩემი ინიციატივით კი არ ვასლოკინებ, შე კაცო!

— აბა ვისი ინიციატივით?

— რა ვიცი, ასე იოლად ვერ აგიხსნი, — თქვა სლოკინსლოკინით კოლეგამ.

— თქვი, ნუ გერიდება.

— მიზეზი, ჩემი აზრით, ქვეყნის მაღალი რეიტინგია.

— გაგიჟდი, სად ქვეყნის რეიტინგი და სად კიდევ სლოკინი?

— რა გიკვირს, ვერა ხედავ, ჩვენი სასწაულებრივი მიღწევებით მსოფლიო პირდაღებულია — მალე ნატოში შევალთ, მერე ევროკავშირში...

— მერე, სლოკინი მაგიტომ აგივარდა?

— აბა სხვა რას უნდა დავაბრალო. აი ამ წუთებშიც უამრავმა უცხოელმა მეგობარმა დამირეკა. გვახსენებენ, გესმის, წარამარა გვახსენებენ!

— ეგ თუ მიზეზია, მაშინ უპირველესად ქვეყნის პრეზიდენტს უნდა ატეხოდა სლოკინი და არა შენ, რიგით მაჟორიტარს.

— ხომ თქვა კიდეც, ისეთი ამბები ხდება ჩვენს გარშემო, იმდენი ვინმე გვაქებს, ერთთავად უნდა მასლოკინებდესო.

— და შენც პრეზიდენტის მაგივრად ასლოკინებ?

— გინდაც ეგრე იყოს, მერე რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა, — განერვიულდა ნაციონალი, — თუ სადმე სამართალია, ამ შემთხვევაში ნაციონალებს უნდა გვასლოკინებდეს და არა მაჟორიტარებს. ეგღა გვაკლია, ჩვენს წარმატებებზე ოპოზიციონერებმა ასლოკინონ.

— რატომ გგონია, რომ ოპოზიციას ვემხრობი? — იწყინა მაჟორიტარმა, — ეგრე რომ იყოს, გლდანში შადრევნის მშენებლობას კი არ წამოვიწყებდი.

— მაგით ამაყობ?

— მარტო ამით არა, გუშინ ერთ სკოლას შეშაც გავუგზავნე.

— რაღა დროს შეშაა, ძმაო, ჩვენ რომ გადავწყვიტეთ, ყველა სკოლაში ცენტრალური გათბობა იყოსო, რატომ არ ასრულებ?

— რა ხმაურია, კოლეგებო, — გაისმა დარბაზში პარლამენტის სპიკერის ხმა, — ზოგი ტელეფონით ლაპარაკობს, ზოგი ხვრინავს, ზოგიც ასლოკინებს. ასეთ პირობებში როგორ ვიმუშაოთ?

— ალბათ აუცილებელი გახდება, მუშაობის პროცესში დეპუტატებს მობილურები გამოვურთოთ, — დაუმატა ვიცე-სპიკერმა.

— ახალი წლიდან ასეც მოვიქცევით, მაგრამ მანამდე ხომ უნდა მივაღწიოთ.

— აი, ხომ ხედავ, შენმა სლოკინმა რა გამოიწვია, — უსაყვედურა ნაციონალმა მაჟორიტარს, — მთელ ჩემ ბიზნესს აქედან ვმართავდი მობილურით, ახლა რა მეშველება?

ბიზნესის ხსენებაზე დეპუტატს სლოკინი უმალ გადაუვარდა (ალბათ, ბიზნესს თვითონაც აქედან უძღვებოდა).



— ვერ არის კარგად საქმე, — თქვა მაჟორიტარმა.

— რაზე ამბობ? — დაინტერესდა ნაციონალი.

— სლოკინი შემიჩერდა.

— ეს რას უნდა ნიშნავდეს?

— ეტყობა, ნატოში შესვლაზე უარს გვეუბნებიან...

**ოტია ჩართოლანი**

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



ხსოვნა

# დავით (დევი) ჩხეიძე

დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს საინჟინრო და სამეცნიერო საზოგადოებამ, გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო გეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ინჟინერ-გეოლოგთა ნაციონალური ასოციაციის კომიტეტის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ინჟინერ-გეოლოგთა რამდენიმე პლეადის აღმზრდელი და მასწავლებელი **დავით (დევი) ჩხეიძე.**



დევი ჩხეიძე დაიბადა 1929 წელს თბილისში, ექიმების ოჯახში. 1947 წელს წარჩინებით დაამთავრა სკოლა, ხოლო 1952 წელს ასევე წარჩინებით – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამის შემდეგ ბატონი დევის მთელი ცხოვრება უკავშირდება როგორც სამეცნიერო, ასევე სტუდენტთა აღმზრდელობით და პრაქტიკულ-საინჟინრო საქმიანობას. იგი 1956-1963 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის სწავლული მდივანი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

1963 წლიდან დღემდე დევი ჩხეიძე მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის კათედრაზე. ამ კათედრას ხელმძღვანელობდა იგი 1974-1991 წლებში. 1976-1991 წლებში დევი ჩხეიძე მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ პრორექტორად სასწავლო დარგში. ბოლო წლებში ბატონი დევი მოღვაწეობდა კათედრის პროფესორად და კომპანია „ჯეოინჟინირინგის“ მთავარ მეცნიერ კონსულტანტად.

პროფესორი დევი ჩხეიძის მეცნიერული, პედაგოგიური და პრაქტიკული საინჟინრო მოღვაწეობის ძირითადი სფერო იყო საინჟინრო გეოლოგია. ამ დარგში იგი 80-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის ორი სასწავლო სახელმძღვანელოსა და ორი მონოგრაფიის ავტორია, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონგრესსა და სიმპოზიუმში.

დევი ჩხეიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არამედ მთლიანად ქართულ საინჟინრო-სამეცნიერო საზოგადოებაში. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ეროვნული საინჟინრო განათლების და მეცნიერების განვითარებაში. პროფესორ დევი ჩხეიძის საინჟინრო და სამეცნიერო საქმიანობა დაკავშირებული იყო როგორც საკვლევ-საძიებო, ასევე თეორიული და მეთოდური საკითხების დამუშავებასთან, რომლებიც ეხებოდა სხვადასხვა ტიპის მშენებლობისთვის საჭირო გეოლოგიურ გარემოს, ასევე სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემებს. მისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე შექმნილმა მისმა სახელმძღვანელომ საინჟინრო გეოლოგიაში, რომელიც გამოიცა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს გრიფით, დიდად შეუწყო ხელი მრავალი დარგის საინჟინრო კადრების მომზადებას. იგი თანაავტორია ისეთი ფუნდამენტური გამოცემების, როგორიცაა: სსრკ ჰიდროგეოლოგია – X ტომი; სსრკ საინჟინრო გეოლოგია – VIII ტომი, კავკასია, ყირიმი, კარპატები; ლექსიკონი გეოლოგიასა და გეოეკოლოგიაში და სხვა. მისი უშუალო მონაწილეობით შესრულდა მთელი რიგი საინჟინრო პროექტები, რომლებსაც დიდი ეკონომიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნიათ.

პროფესორ დევი ჩხეიძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს დაცულია ექვსი საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია. მისი თავდადებული შემოქმედებითი შრომა აღნიშნულია ღირსების ორდენით, მედლებითა და დიპლომებით.

ეს ყოველივე წარმოაჩენს უმეტესად ბატონ დევი ჩხეიძის პრაქტიკული მოღვაწეობის მნიშვნელობას და იმ დანაკლისს, რაც ქართულმა საინჟინრო-სამეცნიერო საზოგადოებამ განიცადა.

განუზომლად მეტია დანაკლისი, რომელიც მისმა გარდაცვალებამ დაუტოვა მის ორ შვილსა და ოთხ შვილიშვილს, რომელთაც დაკარგეს საუკეთესო მამა და ბაბუა, მის მეგობრებს, რომელთაც დაკარგეს გულისხმიერი და ერთგული მეგობარი, მოსწავლეებსა და თანამშრომლებს, რომელთაც დაკარგეს მაღალზნეობრივი, თავდადებული და მოსიყვარულე მასწავლებელი, მუდამ გვერდში მდგომი ზრდილი და თავაზიანი ადამიანი.

დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენგანისთვის უკეთილშობილესი პიროვნების დევი ჩხეიძის ხსოვნა, რომელმაც მართლაც კაცურად და შინაარსიანად განვლო არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე, უშურველად გაიღო ყველა ჩვენგანისთვის თავისი გულის სითბო, ზრუნვა და სიყვარული.

ნათელი დაუმკვიდროს მის სულს უფალმა ზეციურ ქვეყანაში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი,**
**სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი,**
**ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის კათედრა.**

---

რევაზ ყიფიანი, ნუგზარ გაბრჩიძე თანაგრძნობას უცხადებენ რამაზ ხმალაძეს ძვირფასი დედის ქალბატონ
ნინოს
გარდაცვალების გამო.

---

ოთარ, თემურ შენგელიები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ რამაზ ხმალაძეს დედის
ნინო ხმალაძის
გარდაცვალების გამო.

---

ნუგზარ, ლიანა, ომარ ქავთარაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან
ნინო ხმალაძის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ომარი, ივერი, ზაქარია ქუცნაშვილების ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების, პროფესორ
დევი ჩხეიძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის შვილებს, ლევანს, დავითს და მათი ოჯახის წევრებს.

---

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი სწავლული მდივანი, პროფესორი
დავით (დევი) ჩხეიძე
და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

საინჟინრო კომპანია „ჯეოინჟინირინგი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კომპანიის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი, საქართველოს საინჟინრო და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი
დევი ჩხეიძე
და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

ვიკა სირაძე, სერგო რიგვავა, ლოლო ჩხიკვაძე, თამაზ ლორთქიფანიძე, თამაზ სულუხია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დევი ვლადიმერის ძე ჩხეიძე
და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კათედრის ერთ-ერთი დამაარსებელი და დიდი მოამაგე, გამორჩეული პიროვნება და უბადლო პედაგოგი, პროფესორი
დევი ჩხეიძე
და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

ელიკო, გუგული, ოთარი, ბიჭი, მანანა, ოთო აბდუშელიშვილები, კლარა, ოთარ, ეკა თარგამაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მერაბ ბუაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 10 XII, ჭიათურაში 14 სთ-ზე.

---

ელიკო, გუგული, ოთარ, ბიჭი, მანანა, ოთო აბდუშელიშვილები, კლარა, ოთარ, ეკა თარგამაძეები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიძაშვილი
თინა ვალიკოს ასული აბდუშელიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ანი, სერგი, დალი, ვაჟა გელაშვილები მწუხარებით იუწყებიან, ქალბატონ
დარეჯან სარჯველაძე-ხოფერიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნანა, გივი, ნათია, ზაზა გაბელიები, დიდი მწუხარებით იუწყებიან, უძვირფასესი მეგობრის
შოთა კირვალიძის
გარდაცვალებას.

---

გახსენება

## ძვირფას ძმას — სტეფანე ციგროშვილს



სიტყვას ბოჭავს, ცრემლსაც აშრობს უსაზომო მწუხარება.
არის წყლული, დრო მკურნალად მას ვერაფრით ვერ ერგება!
ძვირფასსა და იშვიათ ძმას დების გული თან მიჰყვება!
ჭირში, ლხინში მწველი სევდის არ არსებობს განქარვება!...

ათი წელი გისრულდება, განვეშორე, დაგვთმე ყველა.
ბრგე ვაჟკაცს და ჯან-ღონით სრულს ავი დაგყვა ბედისწერა!
წახვედი გულდაწყვეტილი – სამაჩაბლო – აფხაზეთით.
გავიწყებდა შენს სატკივარს ახალგაზრდა მსხვერპლთა ბედი...
დღეს შენს პორტრეტს ვასმენინებ „მოამბეს“ და „კურიერსა“,
ტკბილად გემუსაიფები: „უთენდება ქართველ ერსა!“..
აღმავლობას დღევანდელსა, სამომავლოდ, დიდ იმედად
მოსწრებოდი, გაგეხარა, ღმერთმა რად არ დაგიბედა!
ახლა დადგა საშენო დრო; მანკიერნი ისჯებიან!
პატიოსან პატრიოტებს აფასებენ, არ სდევნიან!...

ნაადრევად მომპალ წყობის პერიოდში მუშაობდი,
მექრთამეთ და უსამართლოთ დაუნდობლად ებრძოდი!
სამინისტროდან დაიწყე იურისტის სარბიელი,
პატიოსან ერთეულებს გეშლებოდათ, ზოგჯერ ხელი...
უტეხად და მტკიცედ იყავ კორუფციას შერკინული,
გრძელ და მართლის დამჩაგვრელი, სინდის-ნამუს გაყიდული,
„სხვის ჯიბეში ხელის ჩამყოფთ“, „ჯიბის ქურდებს“ უწოდებდი.
შიშსა ჰგვრიდი „ზევით“, „ქვევით“, სდევნიდი, არ პატიებდი!
შავბნელ საქმით შებღალულნი ზემდგომნი არ გისვენებდნენ!
სიმართლის დამნახავები გლოცავდნენ და გაფასებდნენ...
ალალ-მართლის, წესიერის იყავი მტკიცე დამცველი!
იქ სიმართლე იმარჯვებდა, სადაც გიწვდებოდა ხელი!...

მძიმე დროში დაგვიტოვე ნათელი და სუფთა კვალი.
პატიოსნად მოიხადე ქართველური შენი ვალი!...
ერთეულთა ნაკვალევი დღეს ვრცელ ტრასად გადიშალა!
მტკიცე გუნდი ქვეყნის ხსნისთვის არის უძლეველი ძალა!
გწამდეს, ბრძოლა მომავლისთვის უშედეგოდ არ დარჩება!
სიმართლე უკვდავი არის! საქართველო აყვავდება!...
სამარადისო ნათელში გაიხარე, ძმაო ტკბილო!
შენი ქვეყნის მოტრფიალევ, ერის ღირსეულო შვილო!

**გულმკვდარი და ნინო ციგროშვილი**

---



ბელა დურგლიშვილი, ოლიკო თათარაშვილი, თინა, ვენერა, ციცინო, სოსო როსტომაშვილები, გულიკო, ნიკა, ვალიკო ვალიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დეიდა
სოფიო ვარდუაშვილი
დაკრძალვა 10 XII, 14 სთ. დუშეთის რაიონი, სოფ. ოძისი.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟურნალისტ ბელა დურგლიშვილს დეიდის
სოფიო ვარდუაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ცოლისძმა ჯემალი, რძალი სულიკო, ცოლისძმისწულები ვალერი, თამრიკო ჯულელები მწუხარებას გამოთქვამენ უსაყვარლესი სიძისა და ბიძის
გოგი თოფურიას
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი თანაუგრძნობს ნინო წერეთელს დედის
მედეა თაქთაქიშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

### განცხადება

**2006 წლის 29 დეკემბერს მოწვეულია ზესტაფონის ს/ს „ავტომობილის“ აქციონერთა კრება.**

**დღის წესრიგი**

1. ს/ს „ავტომობილის“ ლიკვიდაციის შესახებ.

**მომხსენებელი: ჯ. კუპატაძე**

---

**შპს „ავტოგაზ დილომი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე ბელიაშვილის ქ. №30 (მიონის მოპირდაპირედ). ტელ: 52-63-63.**

---

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

№ 242. შაბათი, 9 დეკემბერი, 2006 წელი.

# ბოლო გვერდი



თუკი სამი-ოთხი დღის განმავლობაში მზეზე ლაქების მოცულობა არ შემცირდება და აფეთქება განმეორდება, ეს სერიოზულ ზეგავლენას იქონიებს დედამიწის ელექტრომაგნიტურ ველზე. ცხელი პლაზმის გავლენის შედეგად დედამიწის ველი ვიბრირებას დაიწყებს, რაც დედამიწაზე უძლიერეს მაგნიტურ ქარიშხალს გამოიწვევს

**◉ მოდა**

## სკანდალური დიზაინერის ჰაეროვანი ჩვენება



**როზერტო კავალის ბოლო კოლექცია ყველაზე მხიარული და მრავალფეროვანია სხვა დანარჩენ კოლექციებს შორის. მან მოდელების შექმნისას, ბუნებაში არსებული თითქმის ყველა ფერი გამოიყენა. პრაქტიკული და ელეგანტური ქვედაბოლოები, ფერადი ბლუზონები, საღამოს ჰაეროვანი და სექსუალური კაბები. მოდის კრიტიკოსებმა რობერტო კავალის ამ კოლექციას სწორედ ჰაეროვანი და სექსუალური უწოდეს.**

ამ ჩვენებაში ყველაზე ახლებური ჩანთების დიზაინი იყო. რობერტო კავალიმ აქცენტი მართკუთხა ფორმის მკაცრ ხელჩანთებზე გააკეთა, აქსესუარებიდან აგრეთვე, ფეხსაცმელებსა და ქამრებს მიანიჭა უპირატესობა.

კავალის ყველა მოდელი დახვეწილობით და ელეგანტურობით გამოირჩევა, წამყვანი დიზაინერი ამა თუ იმ მანეკენსაც განსაკუთრებული სიფაქიზით და მონდომებით ირჩევს, და მხოლოდ საუკეთესოებს ანდობს რუდუნებით შექმნილი მოდელების წარმოჩენას.



აღსანიშნავია, რომ ამ ჩვენების პარალელურად რობერტო კავალის გარშემო დიდი ხმაური ატყდა – საუდის არაბეთის ერთ-ერთი უდიდესი შეიხი სალახ ალ ბალავი კომპანიის საკონტროლო პაკეტს ყიდულობს, მოლაპარაკებები თითქმის დასრულებულია, შეიხი აქციების 60 პროცენტს 600 მილიონ დოლარად შეისყიდის.

ალსანიშნავია ისიც, რომ წარმატებული დიზაინერი კარგი ბიზნესმენი ვერ აღმოჩნდა. ცოტა ხნის წინათ მას იტალიის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა, რომელიც 14-თვიან პატიმრობას ითვალისწინებს – უმდიდრესი მოდელიორი გადასახადების დამალვაში დაადანაშაულეს და დიზაინერი აპელაციას ელოდება.

ამჟამად რობერტო კავალის ბრენდით კვლავ გამოდის ძვირფასი ტანსაცმელი ქალებისა და მამაკაცებისთვის, აგრეთვე, თეთრეული, ფეხსაცმელი, აქსესუარები, რომლებიც, ბუნებრივია, მხოლოდ მდიდართათვის არის განკუთვნილი.

**ლელა დონაძე**





**სურათებზე: რობერტო კავალი და მისი მოდელები.**

**◉ „ხსოვნა ღვინოსავით დავაძველე“...**

## „ხელფასს აღარ მივცემ!“

**ნოდარ შამანაძემ დოკუმენტური მოთხრობების ორი შესანიშნავი წიგნი გამოსცა. ორივე გულთბილი წარწერით მაჩუქა. დავპირდი, პირველს რომ ვერ გამოვეხმაურე, მეორე წიგნზე რეცენზიას უეჭველად დაგიწერ-მეთქი. გავშვივით გაუხარდა.**

დაპირება შევასრულე და „ლიტერატურულ საქართველოს“ წავუღე.

– მივეფეროთ ნოდარს, ღირსეულ კაცს! – მითხრა ივანე ამირხანაშვილმა.

...წიგნი სულმოუთქმელად წავიკითხე. ძალიან მომეწონა, მაგრამ თვალში მომხვდა უამრავი კორექტურა. უფროსი კორექტორი ნოდარის ქალიშვილი შორენა შამანაძეა.

– უყურე მაგას, ხელფასს აღარ მივცემ! – ამბობს ნოდარი და გულიანად კუჭკუჭებს.

**ელგუჯა ლებანიძე**

**◉ ინფორმაცია**

## მზეზე დიდი აფეთქება მოხდა

**ბოლო 30 წლის განმავლობაში მზეზე ელექტრომაგნიტური ენერგიის ყველაზე დიდი აფეთქება მოხდა. მეცნიერების მტკიცებით, აღნიშნულ აფეთქებას შეუძლია დააზიანოს კოსმოსური თანამგზავრების მოწყობილობები და გამოიწვიოს სხვა არასასურველი მოვლენები.**

შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის მეცნიერების მიერ გავრცელებული ამ ინფორმაციის კომენტირებისას ექიმები აცხადებენ, რომ აღნიშნული აფეთქება ადამიანებისთვის საშიშროებას წარმოადგენს.

მეცნიერების მტკიცებით, გუშინდელი აფეთქება რეკორდულია და მზის გამოსხივების (X9) მაჩვენებელმა ჩვეულებრივს, მინიმუმ 1000-ჯერ გადააჭარბა.

მეცნიერები აღნიშნულ მოვლენას ანომალიურს უწოდებენ და აცხადებენ, რომ მზე ისეთ სტადიაში იმყოფება, რომ ამ დროისთვის მასზე არ უნდა იყოს ე.წ. შავი ლაქები – ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროები.



შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის თანამშრომელთა თქმით, კოსმოსში უდიდესი ცხელი პლაზმის ღრუბელი იქნა გამოშვებული, რომელსაც შეუძლია დააზიანოს ელექტრომოწყობილობები კოსმოსურ თანამგზავრებზე.

მათივე განმარტებით, მზეზე მომხდარ ელექტრომაგნიტურ ანომალიას ჯერჯერობით დედამიწამდე არ მოუღწევია. თუმცა როგორც მეცნიერები ვარაუდობენ შაბათ-კვირას დედამიწა ელექტრომაგნიტურ ზეგავლენას აუცილებლად იგრძნობს.

– თუკი სამი-ოთხი დღის განმავლობაში მზეზე ლაქების მოცულობა არ შემცირდება და აფეთქება განმეორდება, ეს სერიოზულ ზეგავლენას იქონიებს დედამიწის ელექტრომაგნიტურ ველზე. ცხელი პლაზმის გავლენის შედეგად დედამიწის ველი ვიბრირებას დაიწყებს, რაც დედამიწაზე უძლიერეს მაგნიტურ ქარიშხალს გამოიწვევს, – განმარტავენ ასტრონომიული ინსტიტუტის თანამშრომლები.

ექიმები კი დაჟინებით მოითხოვენ, რომ ადამიანებმა განსაკუთრებით ყურადღებით ადევნონ თვალი თავიანთ ჯანმრთელობას.

ისინი განსაკუთრებულ სიფრთხილეს ურჩევენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონეთ, ადამიანებს, რომელთაც მიდრეკილება გააჩნიათ ალკოჰოლისადმი. მათი რეკომენდაციის მიხედვით საჭიროა ცხიმიანი საკვებისაგან თავის შეკავება. ასეთი დღეებისთვის დამახასიათებელია არტერიული წნევის მატება და თავს იჩენს სხვადასხვა დაავადებები.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**◉ ანეკდოტები**

**წინათ ბოშები ქურდობდნენ, ებრაელები ვაჭრობდნენ, რუსები კი ომობდნენ. ახლა ბოშები ვაჭრობენ, რუსები ქურდობენ, ებრაელები კი ომობენ.**

* * *

**ორი დაქალი ერთმანეთს შეხვდა.**

**– გუშინ მეზობლის კაცმა შემოირბინა ჩემთან, – ამბობს ერთი, – და მთხოვა, რამე მაჭამეო. მე კიდევ, რამე კი არა, ისეთი სუფრა გავუშალე, რესტორანი მიმიქარავს!**

**– მერე რაო, მეზობელმა, მადლობა მაინც გითხრა?**



**– მითხრა რომელია! ასეთი დიდი მადლობა არავისთან მინახავს!**

* * *

**პარკში ძელსკამზე მოხუცი ლორდი ზის. გვერდით ისეთმა ლამაზმა გოგომ ჩაუარა, ლორდს კინაღამ ნერწყვი გადასცდა.**

**– ჯეიმს, – გასძახა მოუთმენლობისგან აკანკალებულმა ლორდმა მსახურს, – სასწრაფოდ მომიტანე ჩემი ხელოვნური ყბა, იმ გოგოს უნდა დავუსტვინო.**

* * *

**დილაადრიან მდინარე თემზის ნაპირას სპორტულად ჩაცმული ჯენტლმენი ვარჯიშობს, მიწიდან აჭიმს აკეთებს. მას პოლიციელი მიუახლოვდა და თავაზიანად ეუბნება: „მაპატიეთ, სერ, ეს, შეიძლება, სულაც არ არის ჩემი საქმე, მაგრამ მგონია, რომ თქვენი ქალი უკვე წასულა და ტყუილად ირჯებით“.**

* * *

**კულტურის სიახლენი: ფემინისტთა საზოგადოებამ დაამთავრა გადაღება მხატვრული ფილმისა „ყველა მამაკაცი უხეში პირუტყვია“.**

**გადაღებებისას არც ერთი პირუტყვი არ დაშავებულა.**

**◉ ლარის კურსი**

**9 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,4173 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7300 ლარი |
| ევრო | 1 | 2,3033 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0661 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9833 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4716 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4236 ლარი. |

**◉ კადრი**




**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“ ქიზიყის 14 ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.